პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

24 ივლისი, 1938 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო | ფასი 30 კაპ., № 18 (73)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ტფილისი

24 ივლისი ერთ-ერთ დაუვიწყარ და სასიხარულო დღედ დარჩება საქართველოს დედა-ქალაქის ცხოვრებაში: ამ დღეს იხსნება ფუნიკულორის მთელ ზეგანზე ამხანაგ **სტალინის** სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი, მრავალფეროვანი მცენარეულობით შემკული და არქიტექტურული ნაგებობით დამშვენებული.

პარტიამ და ხელისუფლებამ, რომელსაც ამოქმედებს უსაზღვრო მზრუნველობა და სიყვარული მშრომელი ხალხისადმი, ხრიოკი ადგილი, ჯაგებითა და ეკლით დაფარული მიდამო სულ მცირე ხნის მანძილზე ულამაზეს ბაღად გარდაქმნა. ეს გამშვენიერებული დიდებული ზეგანი, სადაც მუდამ ჰქრის გრილი ნიავი, სადაც ეხლა ყველგან სიმწვანე და სურნელებაა, საიდანაც იშლება წარმტაცი სანახაობა, უეჭველია, გარდაიქცევა კულტურული გართობისა და დასვენების საყვარელ ადგილად, რომელიც ხალისს, მხნეობას, ახალ ენერგიას შეჰმატებს დამსვენებელს შემდგომი შრომისა და გარჯისათვის.

ბაღის მშენებლებს, მათ ხელმძღვანელებს ძალღონე არ დაუზოგავთ, არაფერი დაუკლიათ, რომ იგი მისაწვდომი და მიმზიდველი ყოფილიყო ფართო მასებისათვის.

მთელი მშრომელი ტფილისი დაიწყებს აქ სიარულს, რომ გულს სიამე მოჰგვაროს, რომ გაიხაროს არა მარტო იმით, რაც მშენებლების ენტუზიაზმს მისთვის აქ გაუკეთებია, არამედ იმითაც, რასაც იგი აქედან, ამ მაღლობიდან დაინახავს: მის წინ, როგორც ხელის გულზე, გადაშლილია მთელი ქალაქი. ეს არის მისი შრომითა და გარჯით აშენებული ქალაქი, რომლის ყოველი უბანი, ყოველი კუთხე, ყოველი ქუჩა სიამაყით ავსებს მის გულს, რადგან მათ შორის არ არის არც ერთი, რომელსაც განახლება არ განეცადოს.

იგი დააცქერდება ქალაქს სიხარულით და სიამით, როგორც კოლმეურნე თავის ნაჭირნახულევს, თავის დახვავებულ ბარაქიან მოსავალს.

მართლაც, რა მდიდარი, უხვი ნაყოფი მოუცია სტალინურ ხუთწლედებს ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქისათვის: ყოველი მხრიდან ქალაქს შემორტყმია ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების რკალი. ქალაქის ზონაში შემოჭრილან დიღომი, ღრმა-ღელე, დიდუბე, საბურთალო, ვაკე, ორთაჭალა, ნავთლუღი, რომელნიც ქალაქის ცენტრს დაკავშირებიან ლამპიონებჩამწკრივებული მოასფალტებული განიერი მაგისტრალებით—ჭელუსკინელთა, ლენინის, რუსთაველის ქუჩებით, დიდებული სანაპირო პროსპექტით, კალიაევის აღმართით. ცენტრალური და განაპირა უბნები დამშვენებულან ბუმბერაზი მონუმენტალური სასახლეებით, ხეივნებით, მოედნებით, სტადიონებით, ბაღებით. კიდით კიდემდე მისრიალებენ ტრამვაის ვაგონები მიჭრი-მოჭრიან „ემადინები“ და „ზის“ მანქანები, დინჯად მიმოდიან ავტობუსები და ტროლეიბუსები.

ხედავს რა ახალი ტფილისის ასეთ დიდებულ პანორამას, სოციალისტური ტფილისის მოქალაქემ იცის, რომ ამ წარმტაც გარეგნობას შეესაბამება მისი ქალაქის შინაგანი კეთილმოწყობაც: პირველმა ორმა ხუთწლედმა ტფილისს მისცა ნატახტარის წყალსადენი, განახლებული და გაფართოებული საკანალიზაციო ქსელი, ათასობით კეთილმოწყობილი ბინა, მრავალი სკოლა, საბავშვო ბაღი, განათლებისა და ჯანმრთელობის მრავალი კერა.

დასცქერის და აჯამებს რა ბრძოლით და შრომით მოპოებულ ამ კეთილდღეობას, ჩვენი ქალაქის თითოეული მშრომელი ხედავს, რომ უკვე ფაქტად ქცეულა ის დიდი გეგმა, რომელიც ამ ხუთი წლის წინათ ტფილისის საბჭოს დაუსახა ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ**.

ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი **ლავრენტი ბერია** არის ახალი ტფილისის პირველი მშენებელი და შემოქმედი. მისმა უშუალო ყოველდღიურმა ხელმძღვანელობამ, მტკიცე შეუპოვარმა ბრძოლამ ხალხის მტრებთან, რომლებიც მავნებლობდნენ და აფერხებდნენ ტფილისის ზრდას და აყვავებას, უზრუნველჰყო ჩვენი ქალაქის სოციალისტური რეკონსტრუქცია და ჩააყენა იგი საბჭოთა კავშირის მოწინავე ქალაქთა რიგში. დღეს ტფილისი არის მთელი მშრომელი საქართველოს შთამგონებელი და წამახალისებელი. იგი არის წყარო ჩვენი მწერლობის პოეტური შემოქმედებისა. ჩვენი ქვეყნის თითოეული ქალაქი ტფილისის მაგალითზე სწავლობს, თუ როგორ უნდა წარიმართოს მუშაობა ქალაქის გარდასაქმნელად, მის კეთილმოსაწყობად და გასალამაზებლად, ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის ყოველი **მშენებელი** თავის სასიქადულო ხელმძღვანელის მაგალითზე სწავლობს, თუ როგორი უნდა იყოს მუშაობის ბოლშევიკური სტილი, თუ როგორი უნდა იყოს ზრუნვა მშრომელ ადამიანზე, სოციალიზმის მშენებელზე.

**ლენინ-სტალინის** უძლეველი პარტიის დროშის ქვეშ დარაზმული, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** გარშემო ერთსულოვნად შემჭიდროებული ბედნიერი ქართველი ხალხი თავისი სახელოვანი ხელმძღვანელის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** წინამძღოლობით კიდევ უფრო გააძლიერებს თავის შემოქმედებით მუშაობას და გაბედულად გასწევს წინ ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ.

## სტალინის მთა

### ალექსანდრე აბაშელი

ვინ გადმოანთო ეს ცისარტყელა?
ვინ აამაღლა ძველი მთაწმინდა?
ვუმზერ და გრძნობის გამოსათქმელად
ვერ მიპოვნია სიტყვა რაც მინდა.
ოქროდ ქცეულა ნაყარი ქვიშა
და მარმარილოდ - კლდეთა კიდური.
თითქო ეს ბაღი ჰაერში იშვა,
ისეა ცაში ჩამოკიდული.
თეთრი წინწკლები სცვივა ნატახტარს,
მქუხარ შხეფებად ამოყვანილსა.
ვერცხლის შადრევანს ოქრო აქ დახვდა
ქორორ - მოოქრულ ოქროყანისა.
შრიალებს ბაღი ფოთლების ზღვაში —
ფირუზი ციდან ჩამონათალი,
და ყოველ ფოთლის გამოხედვაში
მოსჩანს ბერიას მზრუნველი თვალი.
ეფრქვევა სხივთა ბადე ფერადი
ბაღს, ყვავილების ელვით დასერილს.
დგას ლურჯ მაღლობზე დიდი ბელადი
და განახლებულ თბილისს დასცქერის.

როგორ აენთო ახალ მშვენებით,
როგორ განახლდა, როგორ გაბრწყინდა?
თითქო ზღაპრულის დგას მოჩვენებით
გულდახურული ძველი მთაწმინდა.
აქ გროვდებოდა შუქი ქართული,
რაც იყო მთად თუ ბარად გაშლილი.
ჩირაღდნად იყო აქ ამართული
დიდი ოცნება ბარათაშვილის.
აქ ათრთოლებდა საღამოს ქარი
მთვარეს, იისფერ ნისლში ჩაძირულს.
აქ შეჰხაროდა აკაკის ქნარი
სამშობლო ქვეყნის მზიან ცა-ფირუზს.
აქვე ილიას ქართველი დედა
უცდიდა დილის სხივების ლაშქარს,
უსმენდა დუმილს ბუნდოვან კლდეთა
და შესცქეროდა შორეულ ლაჟვარდს.
და როცა ოხვრა სიჩუმეს ჰხვდა —
თითქო ესმოდა შორიდან ვაშაც,
რადგან ელოდა მწუხარე დედა
ბაზალეთიდან ამოსულ ვაჟკაცს!

ქართვლის დედაო! იმედიანი
შენ გასცქეროდი სამშობლოს ლაჟვარდს.
მთამ გადაიხსნა გული კლდიანი,
და დიდუბიდან მოვიდა ვაჟაც.
ქართველი ხალხის ბრწყინვალე ბედზე
გულის სიმღერას ამბობდა იგი.
მზის ელვარება აენთო კლდეზე
და არწივები ჩამოსხდნენ ირგვლივ.

მთაო მაღალო! მიწაზე დგახარ,
თუ ჰაერში ხარ აყვავებული?
ახალ თბილისის მარჯვენა ფრთა ხარ,
წამოსაფრენად გამზადებული.
ეს ელვარება დღეს როგორ ჰშვენის
მწვანე ხეივანთ, შუქით დაბურვილთ!
სხივით აივსნენ „ადგილნი შენნი,
დამაფიქრებელნი და უდაბურნი“.
მზე დაგეფინა ციდან ახალი,
ახალ სხივების გწვავს ჟრუანტელი.
ხარ თვით მყინვარზე უფრო მაღალი
და იალბუზზე უფრო ნათელი.
სუნთქავს სიამით ოქროს ყანებში
აქ ამოსული შენი მნახველი,
რადგან ბელადი დგას შენს მწვანეში,
რადგან სტალინის გამკობს სახელი.

## ტფილისი ღამით სტალინის მთიდან

### რაჟდენ გვეტაძე

ნარიყალაზე პირბადრი მთვარე
მოსჩანდა შორით, ვით ლომისთავი.
ძირს დაღვრილ შუქით ბრწყინავდა არე,
ბრწყინავდა მტკვარიც მკერდ მონართავი.

როგორც რამ წიგნი უცხო არაკთა,
ჩემს წინ გაშლილი იყო თბილისი.
უეცრად ლექსით ალაპარაკდა
გული, ნათრთოლი ღამის თილისმით.

თვალს იტაცებდა, გულს უხაროდა,
რომ ეს ქალაქი ძველი, ხნიერი
გამოსულიყო უხამს ხაროდან,
დაედგა ჯიღა ამაყ იერით.

სრა-სასახლეთა ეს ბალავარი
რა ხელმა შეჰკრა, ბროლით შემოსა,
დაფარჩა მთები ნორჩ ტალავარით
და ყოველ ხეზე მთვარე შემოსვა!

ვინ ჩამოკრეფა ეს ვარსკვლავები,
ძირს ვინ გაშალა ცის დაფიონი,
ვინ დაარკინა გმირთა მკლავები!
და მათი შუბლი შეამკო დაფნით!

— დილის მზესავით მუდამ მგზნებარე,
ახალ ტფილისის მშენებელია,
ახალ ტფილისის ავტორი არი
ქართველი ხალხის ბურჯი ბერია.

## სოციალისტური ტფილისის თვალი

### ლეო ქიაჩელი

მოსკოვის რეკონსტრუქციის სტალინურმა გეგმამ ნიშანი მისცა საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკას თავიანთი ქალაქების გადახალისებისა და გარდაქმნისათვის.

ძველი მეშჩანურ-ბურჟუაზიული ქალაქების კონსტრუქცია გამოუსადეგარი იყო ახალი ცხოვრების დიად სოციალისტურ საფუძვლებზე გასაშლელად.

**სტალინის** გენიის მიერ ნაკარნახევი გეგმა საკავშირო დედა-ქალაქის რეკონსტრუქციისა სოციალიზმის მშენებლობის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად დარჩება. ის აყენებს ქალაქთა მშენებლობის სრულიად ახალ პრინციპს.

ეს არის ზრუნვა მშრომელ ადამიანზე.

იგი უპირისპირდება კერძო-კაპიტალისტურ პრინციპს, რომელმაც თავისი უკიდურესი გამოხატულება ევროპისა და ამერიკის თანამედროვე ქალაქების არქიტექტურაში ჰპოვა. ამ უკანასკნელს უკვე დიდი ხანია არ ახასიათებს ის მძლე იდეური შინაარსი და აღმაფრენა, რომლებმაც წინა-ეპოქებს გარდაუვალი მონუმენტების შექმნა შეაძლებინეს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდენ შინაგანი და საზოგადოებრივი იდეისაგან გამოშიგნულ ტექნიკასთან, კერძო ექსპლოატატორული ინტერესის მომსახურეობასთან.

ამიტომ არის, რომ არასოდეს არ ყოფილა ტექნიკა და ხელოვნება ერთმანეთისაგან ისე გათიშული, როგორც ეს არის ბურჟუაზიის მიერ ნაშენ ქალაქებში.

მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის საფუძველს კი შეადგენს, პირიქით, ურყეველი სინტეზი ხელოვნებისა—არქიტექტურის, ქანდაკებისა და ფერწერის—და უმაღლესად განვითარებული ტექნიკისა.

ამ გეგმაში ნათქვამია:

„...მიღწეულ უნდა იქნეს მოედნების, მაგისტრალების, სანაპიროების, პარკების მთლიანი არქიტექტურული გაფორმება... ხოლო საცხოვრებელ და საზოგადო შენობათა აგების დროს გამოყენებული იქნეს კლასიკური და აგრეთვე ახალი არქიტექტურის საუკეთესო ნივთები“...

ეს დებულება დეკლარაცია როდი არის. ის პრაქტიკაა საბჭოთა ქალაქების მშენებლობისა, აუცილებელი სახელმძღვანელო ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაბმული საკავშირო რესპუბლიკების ყოველდღიური მუშაობისა.

ასეა ჩვენშიც.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ძველმა თბილისმა ბელადის მოწოდებაზე ყურთმაჯები აიკეცა და წაკარწახებული მკლავებით თავის ოღრო-ჩოღრო ქუჩაბანდების აყრას შეუდგა.

ჩვენი დედაქალაქის ნაცრისფერ ფონზე საკვირველი სისწრაფით აელვარდნენ ქალაქის ახალი სახის თვალწარმტაცი ნაკვთები:

ჭელიუსკინელების ხიდი, სანაპირო, კიროვის სახ. ბაღი და სოლოლაკის გორგალზე გადაჭიმული კომკავშირის ხეივანი, რომელმაც მივიწყებული ისტორიული ნარიყალისა და შაიტანბაზის ნანგრევებსაც კი ახალი სიცოცხლე ჩაბერა—ახლად აყრილ ადამიანთა და მცენარეთა სიხალისით აავსო.

მაგრამ ნამდვილი დიდი გაქანების მშენებლობის ნიმუში თბილისმა დიდი ბელადის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის სახით მოგვივლინა მთაწმინდაზე.

ამიერიდან ეს პარკი ჩვენი დედაქალაქის ნამდვილ თვალად უნდა ჩაითვალოს.

ამ მშენებლობამ ჩვენ დაგვიმტკიცა, რომ თბილისსაც შესძლებია უურთულესი მონუმენტალური ამოცანების გადაჭრა.

ამ მშენებლობაში საკვირველი მარტო ის კი არ არის, რომ მთაწმინდის ადგილნი ჯერ კიდევ გუშინ „დამაფიქრებელნი, ვერანანი და უდაბურნი“ ნაირი ჯიშის ხეებითა და მცენარეებით არის მორთული, ნატახტარის წყლის შადრევანებით გაცოცხლებული და ზაჰესის შუქით გაბრწყინვებული. საკვირველი აქ მხატვრული ანსამბლის მიღწევაა, რომელშიც ერთმანეთს ეჯიბრებიან ქართული ახალი ხელოვნების დიდი მასშტაბის ფორმები—არქიტექტურის, ქანდაკებისა და ფერწერის.

მე არ შევუდგები ამ პარკის მთლიანი სახის აღწერას. ავღნიშნავ მხოლოდ მის ორ დიდის ღირსებით შესრულებულ შტრიხს:

როდესაც თქვენ დგეხართ მთის ზეგანზე ამავალი მთავარი კიბის წინ, რომლის მუხლობრივი დაყოფა ნამდვილი უსასრულობის შთაბეჭდილებას სტოვებს, თქვენ გაოცებთ მთის მთელ კონფიგურაციასთან შეფარდებული მონუმენტალური ხაზები, რომლებიც ჩვენი დიდი ეპოქის სტალინურ გაქანებას ეხმაურებიან. ეს შესანიშნავი კიბე თავდება ბელადის მონუმენტით და ცით, რომლის შორეული ჰორიზონტიც კი სურათის მთლიანობის ორგანიულ ნაწილად არის გამოყენებული.

სრულიად განსაკუთრებულ მიღწევად მიმაჩნია თბილისისათვის ამ კიბის თავში აღმართული **სტალინის** მონუმენტი, მიუხედავად ბელადის ცნობილ ქანდაკებათა კომპოზიციის განმეორებისა ძირითადად, ის ხელოვნების სრულიად ორიგინალურ ნაწარმოებს წარმოადგენს.

მე აღფრთოვანებული ვარ და ვამაყობ, რომ ჩვენი თბილისი დღითიდღე ხდება დიდი **სტალინის** სამშობლოს ღირსეულ დედაქალაქად.

და მთელი გულით ვამბობ:

—გაუმარჯოს მის მშენებელ ხელს.



გრანიტიდან გამოკვეთილი ფიგურა ამხანაგ სტალინისა კულტურისა და დასვენების პარკში ფუნიკულორის პლატოზე.

## განახლებული მთა დიდებული

### სიმონ ჩიქოვანი

1.

მთაო, მინახავს ველი ვერანი
და უდაბური შენი მხარენი;
განავარდება მედგარ მერანის,
დაფიქრებული შემოგარენი;

სულგანაბული ჩემი მამული,
გულის ტკივილი და სინანული,
აკვნესებული, ვით სალამური,
და დანამული ცრემლით მამული.

მე მამძიმებდა, როგორც ღრუბელი,
შენი სავანე, მწუხრი ანკარა,
ფიქრი მრავალი გამოუთქმელი,
გაციებული და მოკანკალე;

გაშიშვლებული მთა დიდებული,
ბარათაშვილის მთაზე სერობა,
ცაზე ვარსკვლავი დაკიდებული,
და მგალობელის უიმედობა;

ბინდი მწუხრისა, გულის ვარამი,
შენი საღამო ნისლის თვალება,
ობოლი მგოსნის გულის მზარავი
იდუმალება, იდუმალება.

მაგრამ წახვედით, ძველო ქარებო,
წაიღეთ გლოვა დარბაისლური,
თავზე გეხურათ დიდი გარემო,
ცა მოკამკამე და დაისრული.

შემოგძარცვოდა გარე სიმწვანე,
გეკრა მილეულ მთვარის ალერსი.
მაგრამ აღდგომა შენი ვიწამე,
ქება გიძღვენი უმხურვალესი.

შენ გაგონდება, როგორ დავრბოდი
ამ მიდამოში ტრფობით გაჭრილი.
ახლა გარდიქმენ, გახდი წალკოტი
და ზე აფეთქდი, როგორც აპრილი.

უკვე წახვედით, ძველო ქარებო,
მე დამიტოვეთ ლექსის ნაკვესი,
ტფილისს დაადექ დიდო გარემოვ,
როგორც კუნძული ულამაზესი,

არა კუნძული, შენ ხარ ნაპირი
და ქვეშ მღელვარებს დედა-ქალაქი,
ტანანთებული, როგორც აპრილი,
და შორს გაშლილი, როგორც არაკი.

რა საღამოა! არ მენანება
მე მთაწმინდაზე შემოღამება,
ჩემი საღამო ცისფერთვალება
გამოცნობილი იდუმალება.

მოდით, მგოსნებო, გაიხარენით,
გადმოიღვარეთ ხალხში ლექსებად,
ადგნენ სამშობლოს დიდი მხარენი
და თქვენ სიმღერებს ეალერსება.

2.

მახსოვს ძველი დრო, როგორ დავრბოდი,
მთაო მაღალო, გაშლილ წვიმაში.
არ იყო მაშინ ეგე წალკოტი,
ვიყავ შიშველი წვიმის წინაშე.

დამშრიალებდნენ შენი ქარები,
ხშირი წვიმების მკლავდა ჟღარუნი,
მთას ჩამორბოდენ ნიაღვარები,
როგორც ცრემლები და სინანული.

მაგრამ გაცოცხლდენ შენი მხარენი,
ვერანანი და მთა უდაბური.
მწვანით შემოსეს შემოგარენი
და დანამული აღსდგა მამული.

ახლა ალვები დგანან ამაყად,
ნიავს ეტრფიან და იზმანებენ.
ვერცხლისფერობენ ხენი ამაღამ,
ზევით აწვდილან და შრიალებენ.

მთაწმინდის კერა ხალხის გენიას
აუტყორცნია, როგორც ფრანგული·
მთის ბრწყინვალება აღუდგენია
ქართულ ხეებით ამოქარგული.

ბაღად დამდგარა ჩვენი ოცნება,
მთაზე ასული, როგორც მთიული;
მთის ვაჟკაცური გამოცოცხლება
და ცის ლაჟვარდი მარადიული.

ამკობენ ხეთა დამე გობრებას
თვალების მსგავსი ღია წყარონი;
ოსტატის ხელი და ხელოვნება
და ტრამვაების ფერდზე წკარუნი.

ოსტატს მარჯვენა ხალხმა უკურთხა,
ზე აღმართული ხელი ქართული
და ამეტყველდა სვეტზე ჩუქურთმა,
ძველ ქართულივით გამოკვართული.

აივნებით და შუქის შანდლებით
ტფილისს დასცქერის ბაღი ნეტარი.
და სდგას მთაწმინდა ნორჩი ჭადრებით
ყალყზე ამდგარი როგორც მხედარი.

დეე, შევარდნებმა ცაზე იქროლონ,
მიწა ისროდეს ზევით მაშხალებს!
ლექსში აფრინდით, ჩემო ფიქრებო,
ჩემო ოცნებავ, ფრთები გაშალე!

გაინავარდე, სტყორცნე კამარა,
აღსდგა მარადის შენი მშობელი,
ქანდაკს წარუდექ ლექსის ამარა
და სთქვი ბელადის საგალობელი.

მთელი ბუნება ვარდისფერია,
ალვაც ბაასობს უკვე კაცივით,
გულს უხალისებს მედგარ ბერიას
და მაღლა მიჭრის ჩვენი არწივი.

დიდება ბელადს, უთხრათ მადლობა,
მარად ვადიდოთ ბრძენი მშრომელი,
ვინც დაგვიმკვიდრა მართლა კაცობა
და გამარჯვება დაუდგრომელი!

## გრიგოლ ორბელიანი ახალ ნარიყალაზე

**ი. გრიშაშვილი**

[illegible]

1.

ეს რა ზეა აქ დარგული,
ეს რა ქვები ალაგა,
ეს ტფილისი—ქართლის გული —
გორგასლანის ქალაქი?

სად წავიდა ვიწრო ქუჩა,
დაგრეხილი, როგორც გველი?
[illegible]
სად ჰყავს თავის ასლამბეგი?

ბაღში — ბაღებს, ნერგებს, ღერწებს
[illegible],
ახალ ტფილის ფალერებს
[illegible].

— ამირქადდი, დედამიწავ,
გული, ჩადექ საგულეს!
დრომ: მოყვარეს თაფლი მისცა,
მტერს ნაღველი გაულესა.

2.

რომ არ ვიცრბინო, გინა ვერ ვარ?
ყაბახიდან აბანოდის
გამარჯვებულ დროშის რხევა
სახარელი პანგად მოდის.

აღარ მოსვლის ნიკოს მტკვარი,
[illegible]
[illegible]
მოუშენდა, გაუშენდა.

უშველეოდ, არხიდან
იღვიძა ნარიყალაი:
[illegible]
[illegible]

„ვიჩრდებით და ცაცხლად ვევდით,
„აღარ გვყოფს სიგრძე, განი.
„რუსთაველის ბეჭებითი
„[illegible] ტფილისის გალავანი.

— ამირქადდე, დედამიწავ,
გული, ჩადექ საგულეს!
დრომ: მოყვარეს თაფლი მისცა,
მტერს ნაღველი გაულესა.

## სიმღერა დედა-ქალაქზე

**მარიკა მიქელაძე**

როცა მუქი სილურჯე გაიშლება ბინდებად
და მთაწმინდის პროფილი იშლება და დიდდება,
როცა დილა იფეთქებს, გაშლის ოქროს დალალებს,
ბოტანიკურ ბაღიდან მოდის სიო ფრთამალი,
კომკავშირის ხეივანს მოსდევს ლეგა არშია,
გაღვიძებულ ბაღებში მოშრიალე ტაშია, —

მაშინ, დედა-ქალაქო, შენ ბაღი ხარ მზიანი,
იზრდები და ახარებ ახალ ადამიანებს.

ბევრ მეხს გამკლავებიხარ ბევრი ზათქის მნახველი,
გულით გიტარებია უკვდავ გმირთა სახელი, —
ყოველ გოჯა მიწაზე წინაპრების სისხლია,
დღეს ღიმილით იგონებ დღეებს პირქუშ ნისლიანს;
ბევრჯერ აოხრებულო და კლდესავით მაგარო,
დღეს ვის გაუკვირდება, რომ შენი მზე გვახარებს?

ჩემო დედა-ქალაქო, დღეს ბაღი ხარ მზიანი,
იზრდები და ახარებ მებრძოლ ადამიანებს.

საუკუნეთ სიღრმიდან დაზრილ მთვარედ ელავდი,
დღეს მზესავით აგანთო გამოზრდილმა ბელადის;
შენი ლაღი ქუჩები დღეს მის სახელს მღერიან,
ვინც გაწრთვნა და მზრუნველად მოგვევლინა ბერია.
მინდა გაშლილ დროშებით მუდამ ალისფერობდე,
გჭვრეტდე ასე სხივმოსილს, მწვერვალებზე აყვანილს,
ჩემო დედა-ქალაქო მინდა ისიც მჯეროდეს,
რომ შენს გულში დაირწა რუსთაველის აკვანი,

რადგან შენ ხომ ბაღი ხარ, მხარგაშლილი, მზიანი,
იზარდე და ახარე ბრძოლის ადამიანი!

## ალმავლობის პანორამა

**ნიკო ლორთქიფანიძე**

სამსართულიანი, მდიდრულად მოწყობილი როტონდა ორ შადრევანს შორის აღიმართება და ჯანსაღ გართობას უქადის, როგორც ძუძუმწოვარა ბავშვებს ისე მოზრდილთ.

ბაგა... მრავალი სათამაშოები, პატარ-პატარა მაგიდები, სავარძლები, პირსაბანები—ერთ-ერთი საამაყო ნაწილია განსაკუთრებულად მიჩენილ ექიმისათვის.

სამკითხველო, ბილლიარდი, ჭადრაკი, რესტორანი—ყველაფერი მოზრდილთა გონიერი დროს გატარებისათვის არის განკუთვნილი.

მთელი შენობის ირგვლივ ჩაყოლებული ფართო აივანი დასასვენებლად გიზიდავთ, მაგრამ კიდევ უკეთესია იქედან თვით პარკისა და მთელი თბილისის ხედი.

ბაღი, თითქოს მრავალი წლები ეშენებინოსთ, ისეა მომწიფებული—მცენარეები, ყვავილები, ბუჩქები და ხეები... აქ—სამუსიკო ნიჟარო, იქ—კარავი ცივი წყლებისა და ნაყინისათვის, ეგერ საცეკვაო მოედანი, იქ—კარუსელი...

და, რაც ამშვენებს მთელ ბაღს—მრავალსაფეხურიანი რამდენიმე მუხლათ დაყოფილი, განიერი კიბე, რომლის თავში დამაგვირგვინებლად სდგას სადათ და მკვრივად ქვისაგან გამოკვეთილი ქანდაკება დიდი ბელადისა... ფარაჯის კალთა გადუწევია... ცხოველმყოფელი ფიქრი კრთის სახეზე.

შორს, შორს, ქვევით, სულ ქვევით, იშლება თბილისი.

რა რიგ გაიზარდა ამ წლებში?

აი უნივერსიტეტის უბანი ვაკე—ეს მთელი ქალაქია ხომ?!

სად იყო წინათ? ქალაქი თავდებოდა თვით უნივერსიტეტთან და შემდეგ, სასულიერო სემინარიამდის, ეხლანდელ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტამდე, მიჰყვებოდა ცარიელი ველი. ამ გრძელ გზაზე, მარჯვნივ და მარცხნივ ეხლა მჭიდროდ ჩარაზმულან სამეცნიერო და სამოსწავლო ინსტიტუტები, მაგრამ მეცნიერებას მთელი ეს სივრცეც არ ჰყოფნია და საბურთალო დაუპყრია...

აი, ეს ვერის მდინარის სათარეშო მიდამოები, სანაგვე და საეჭვო პირთა სავანე—ეხლა ჩელიუსკინის ხიდის მიდამოებია—ლამპიონებით განათებული, ასფალტით დაფენილი, მწვანე ბალახით, ყვავილებით და უკვე მოზრდილ ხეებით დაჩრდილული.

ასასვლელად ქანც-გამომლევი და ჩამოსასვლელად სახიფათო „ციციანოვის აღმართი" საამო სასეირნოთ გამხდარა,—კუბიკური ქვებით დაფენილი, განიერი გაჩირაღდნებული, კალიაევის აღმართი... და ჭეშმარიტათ უფრო კანონიერი იქნებოდა გამზირი გვეწოდებინა.

მადათოვის კუნძული!.. აღარ არის ვორონცოვის—ამ ფლიდი კარისკაცის, ტკბილი სიტყვებით ქართველობის მოსპობაზე მეოცნების—სამარცხვინო ძეგლი... ჩამონგრეულ, ჩამომტირალი ქოხმახები გაძვალტყავებულ ბინადრებითა და აქა-იქ დაგუბებული მწვანე წყლით—

დახე, ჩვენი ქალაქი რა რიგად გამოცვლილა,

მადათოვის კუნძულიც სასეირნოდ გამხდარა?!

ნიკო ბარათაშვილი ველარ იტყვის მტკვრის „არემარე იყო მოწყენით", პირიქით საუცხოვო სანაპიროს შეუკრავს მდინარე, და მოდუდუნე ანკარა მტკვარს ველარ შებღალავს ქალაქის ნაწრეტი და ნაგავი, დამპალ ძაღლების სუნი არ შეაწუხებს.

და ქალაქის ბოლოებში—ღრმა ღელეში, ავლაბარსა და ნავთლუღში—სამრეწველო ნაგებობანი—ქარხნები—საქსოვი და სამანქანო, ქაღალდისა და წაღების, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და გრეხილ ავეჯეულების და სხვა ათასი.

მთავრობის სასახლე! მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალი, მისი ბარელიეფებით, მისი მდიდრული მარმარილოს სვეტებით, ვესტიბიულით, მოხერხებული კაბინეტებითა და აუდიტორიებით უმზადებენ მეცნიერს მყუდროებაში ნაყოფიერ შრომას.

ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის განუწყვეტელი, გულმოდგინე შრომის ღირსეული ჯილდოა დიდი **სტალინის** სახელობის კულტურული დასვენების ეს პარკიც, საიდანაც ნათლად სჩანს თბილისის გამშვენიერებისა და ალმავლობის გრანდიოზული პანორამა.



კომკავშირის ხეივანი. მოედანი ნიჟარასთან

ნახ. ს. მაისაშვილისა

## ბაღიც ფერადობს ათასნაირად

**დ. გაჩეჩილაძე**

რამდენმა ქარმა შენ გადაგწივლა,
ცაზე შენს კალთებზე ლეშტერი ღვარა;
ფიქრნი მგოსანთა, ოი მთაწმინდავ,
თავს დაგხვიოდნენ ღრუბლების ჯარად.

და მკრთალ ნათელში, ხავსიან კლდესთან,
ქართულ გენიის ეკიდა ჩანგი;
ზედ გაბმულიყო სამშობლოს კვნესა,
ვით ძველი სიმი, დახრული ჟანგით.

ბარათაშვილმა რომ სცადა მღერა,
ამ სიმს შეეხო თავგამწირველი,
და ხმა სამშობლოს ცას დაეძგერა
როგორც წუხილის შავი ფრინველი.

მთაო, მთაწმინდავ, რამდენი ხანი
შენ მოგქონავდა სისხლის წვეთები,
აქ გმირის საფლავს სტიროდენ ღამით
ჭალარა მთვარე და წერეთელი.

სამშობლოს მაჯა რისხვით გადასჭრეს,
იდექ, მთაწმინდავ, ნისლში დახრილი...
ო, აქ დამარხეს თვით ჭავჭავაძე,
გაღვიძებული ქართვლის ძახილი.

გახსოვს, ხომ გახსოვს ის მძიმე წამი,
მგოსნის ცხედართან ცრემლი ღვარებად,
როს კიდევ აჩნდა ბინდ-ბუნდში კრწანისის
ქუშ მამადხანის ხმლის ელვარება.

გმირთა აკლდამებს ფარავდა ჩრდილი,
შუქიც მთვარისა ფერფლად სცვიოდა...
დღეს, ო, მთაწმინდავ, დიდებულ ტფილისს
დასცქერ ანთებულ ერისიონად.

რადგან სამშობლოს სხვა ცეცხლით ალგზნებს
ბელადის სიბრძნე და უკვდავება,
და საქართველოს გენიის ჩანგზე,
მარად სიმღერის სიმი გაება.

მთაო, ნისლებში ღამე ნათევო,
ნათელმა შთანთქა შენი წყვდიადი,
და გადმოადექ ბაღად პანთეონს,
ფრინველთ ჭიკჭიკით რომ აწკრიალდი.

შენც გაზაფხულის სიმწვანე იგრძენ,
ქარს გაჰყოლია მგოსნის ნაღველი;
დაგშუქებია ბელადის სიბრძნე,
ალამპრებული მისი სახელი.

და რომ ნაოჭი შუბლს აღარ გაჩნდეს,
ხრიოკი მწვანეთ დაუფერიათ.
ამ ფიჭვებს, ნაძვებს, როგორც ტყის ბავშვებს,
აქ თავს უყრიდა ზრუნვით ბერია.

მოდის, გწვევია ხალხი დიადი,
ბაღიც ფერადობს ათასნაირად...
ჩანგო, აჟღერდი და აწკრიალდი,
ცავ აგუგუნდი ოქროს დაირად!

ო, გიხაროდეს, დედაო ქართვლის,
შენ ქვეყნებს მიეც ბრძენი ქებული,
მისი სახელი თავს გადგას ნათლით,
სამარადისოდ ალამპრებული.

## მთაწმინდის რიჟრაჟი

**ი. ლისაშვილი**

გათავდა... ყველა ტანჯვების წყლული
ზვავმა წაიღო, გამრთელდა გული.
მოვიდა შუქი ვით სასწაული,
მარადიული მშვენებით სრული.
კვნესა არ ისმის — ჩარჩა მიწაში,
მკერდს ვერ გაგიპობს ცრემლების ღვარი,
უსულოდ ეგდე ზეცის ზეწარში
ტანზე გახდილი და გადამწვარი
მზის თაკარებით შენამუსრავი
ნახშირად გექცა ლამაზი ტანი,
მაგრამ გაცოცხლდი, წინად უძრავი
სიხარულის და შვების მომტანი.
დიდი გენიის სხივით გამთბარი
გაცოცხლდა მთები, მიწის გულები
და აღმოცენდა როგორც სიზმარი
სურნელოვანი თაიგულები.
შენ, მთაო წმინდავ, წმინდა სახელი
გერქვას უჭკნობი სიცოცხლის ნიშნად,
რომ შეგხაროდეს ყველა მნახველი,
რადგან სტალინი შენს გულში იშვა.
გრძნობით შეგეხო ბერიას ხელი,
დიდ სიყვარულით რომ მოგცა სუნთქვა.
აქ იშვებს კაცი, — ჰქონდეს ნაღველი
მაინც იმღერებს, თუნდ იყოს გულქვა.
მამადავითი, როგორც საუნჯე,
გულივით გიზის ფიქალო მკერდში,
აქ წინად ტკბილი ხმები დამუნჯდნენ,
მაგრამ უკვდავებს ვინ ჩასთვლის მკვდრებში!
არ შეგაშრება ნამის წვეთები,
რომ მოგიხურავს მწვანე ქულაჯა
და მარმარილოს მტკიცე სვეტები
თავზე გადგია ერთგულ დარაჯად.
შენ, მთაო წმინდავ, წმინდა სახელი
გერქვას უჭკნობი სიცოცხლის ნიშნად
რომ შეგხაროდეს ყველა მნახველი,
რადგან ბელადი შენს გულში იშვა.

# მთა დაგვეხარის

**დემნა შენგელაია**

ტფილისი ერთი უძველესი ქალაქთაგანია. მისი დაარსების თარიღი უხსოვარ დროში იკარგება. იგი მრავალჯერ ყოფილა აოხრებული, გადამწვარი და დაქცეული გარეშე და შინაური დამარბეველთაგან, მაგრამ მრავალჯერვე განახლებულა. სულ უკანასკნელად იგი მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში დაარბია სპარსეთის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა.

როგორც ყოველი ძველი ქალაქი, იგი უგეგმოდ შენდებოდა და მისი ქუჩები იმდენად ვიწრო იყო, რომ ორი აქლემი ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევდა. ძველად ტფილისს ტყით დაბურული მიდამოები ჰქონდა, ამიტომ ქალაქში ცხოვრება ზაფხულის სიცხეებში ისე ძნელი არ იყო. ბატონყმობითა და აუტანელი ბეგარით შეწუხებული გლეხობა, სხვა ტყეთა შორის, ტფილისის ტყესაც აფარებდა თავს და არსენასავით მდიდარს ართმევდა, ღარიბს აძლევდა. ბევრს იჭერდნენ, ბევრს ხალხის დასაშინებლად მახათაზე საჯაროდ ახრჩობდნენ, ბევრსაც საპყრობილეებში ალპობდნენ, ციმბირში ჰკარგავდნენ, მაგრამ არა გამოდიოდა-რა,—ოძელაშვილებისა და ბლაჭიავილების რიცხვი უფრო მატულობდა. თავგაბეზრებულმა მეფის რუსეთის მთავრობამ მათ ასალაგმავად ერთ „გონიერ" საშუალებას მიმართა: ადგა და ტფილისის ირგვლივ მოშრიალე ტყე ერთიანად აჰკაფა და მით ეს ადგილები უდაბნოდ გადააქცია. მას შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამდე არავის უფიქრია ამ ტყეების კვლავ გაშენებისათვის. ქალაქს ნიაღვრები აზიანებდნენ, ღორღითა და ქვიშით ქუჩები ივსებოდა.

არც მის რეკონსტრუქციაზე ზრუნავდა ვინმე. ეს დიდი საქმე იმ შავბნელ პირობებში წარმოუდგენელი იყო. ისედაც ვიწრო ქუჩები გახერგილი იყო ორიოდე წინ-წამოდგმული სახლით. ეს სახლები გარდუვალ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ მაშინდელ ქალაქის „მამებისათვის", რომელნიც სოლოლაკში ბინადრობდნენ. ქუჩის გასაფართოებლად ამ სახლებს შეძენა უნდოდა და შემდეგ დანგრევა. მათი პატრონები მდგომარეობას იყენებდნენ და ზღაპრულ ფასს ადებდნენ. ხშირად ამ პატრონებს თვით ქალაქის „მამები" აფრთხილებდნენ — შემთხვევით ისარგებლეთო. ქალაქის მესვეურთ სხვა რა ღონე ჰქონდათ, ან უნდა ეყიდათ ცეცხლის ფასად, ან უნდა დაეტოვებინათ ქუჩა ძველებურად. სამაგიეროდ მათი არისტოკრატიული უბანი ყოველმხრივ მოწყობილი იყო.

ქართველი ხალხის მოღალატე მენშევიკების ბატონობის დროს სულ მთლად დაქვეითდა ტფილისი. ქუჩა-ქუჩას არა ჰგავდა, ტროტუარი ტროტუარს. ჯამბაზობაში კარგა გამოქნილი უნდა ყოფილიყავი, რომ ღამით ქუჩაში მშვიდობიანად გეარა. საბურთალოსა და ახალშენის იმ ორიოდე მუშათა სახლს, რომელიც აქა-იქ კიდევ იდგა, სპეკულიანტები ოხრის ფასად ყიდულობდნენ, რადგან მაშინ, ბინის იმ სივიწროვეში სახლს არავითარი ფასი არა ჰქონდა. სახლი მუქთი იყო. აგური ძვირი. სპეკულიანტები ანგრევდნენ ნაყიდ სახლებს და მასალად ჰყიდდნენ. ყოველივე ეს ხდებოდა „დემოკრატიული მთავრობის" თვალწინ და არავითარ ზომას არ იღებდნენ, უბნები ნასახლარებით ივსო.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაეტყო ტფილისს აღორძინება. კომუნისტურმა პარტიამ, სხვა გრანდიოზულ საქმეებთან ერთად, ამ საქმესაც მოჰკიდა ხელი, და ამჟამად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედა-ქალაქი ერთ უმშვენიერეს და კეთილმოწყობილ ქალაქს წარმოადგენს.

ყველგან ასფალტია მოსხმული, ხოლო ალმართიანი ქუჩები—კურსები გრანიტის ძელაკებით დაფენილი.

ბეწვის ხიდივით დაკიდებული კალიაევის (ძველად ციციანთ) აღმართი გაგანიერებული და დაბაკებულია, ხოლო ქალაქს მოწყვეტილი ავლაბარი და ნავთლუღი ამ პროსპექტით მჭიდროდ არის ცენტრთან დაკავშირებული. ვაგზლის პირდაპირ გაჭრილია ახალი ქუჩა, ხოლო მტკვარზე ლაღად ჰკიდია ქვის ლამაზი ხიდი. ქალაქს არა ჰქონდა მოედნები. ახლა მას აქვს ვაგზლის, ა/კ. ფედერაციის სახელობისა და სხვა მრავალი მოედანი.

პლეხანოვისა და რუსთაველის ვრცელი პროსპექტები ვერ იტევდნენ ტფილისის ზღაპრულად გაზრდილ ტრანსპორტს. მის განსატვირთავად ტრამვაის ლიანდაგი გადატანილია მეზობელ ქუჩებში. გაჭრილია ახალი ქუჩები, გაგანიერებულია ძველები, მორთულია, დამშვენებული ახალი სახლებით, გაზონებით. ძველად ტალახიანი ვაკე და საბურთალო მთლიანად დასახლებულია და ახლა ისინი თავიანთი მრავალსართულიანი სახლებით და კეთილმოწყობით ტფილისის საუკეთესო უბნებს წარმოადგენენ. მტკვარი მთელ სიგრძეზე ჩაკეტილია ბეტონის ზღუდეში და მის გასწვრივ გაჭიმულია შესანიშნავი ასფალტირებული სანაპირო პროსპექტი. ეს პროსპექტი აუცილებელ საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს სიგრძეზე გაშლილი ქალაქისათვის. ყველგან ახალი ქარხნები, სახლები, კინოები, საავადმყოფოები, სკოლები, სკვერები, ტროლეიბუსი, ავტობუსი, ტაქსი. ვიწროლიანდაგიანი პრიმიტიული ტრამვაის ხაზი გადაკეთებულია ფართო ლიანდაგად. ვაგონებიც გამოცვლილია. ერთის სიტყვით, ის, ვინც ამ ხუთიოდე წლის განმავლობაში ქალაქში არ ყოფილა, ვეღარ იცნობს მას.

ტფილისის მოსახლეობა ზღაპრულად იზრდება და ყოველი დღე ახალი და ახალი გამარჯვების დღეა.

არსად, არც ერთ ქვეყანაში ისე არ ზრუნავენ ხალხისათვის, როგორც აქ, ჩვენს დიდ საბჭოეთში. ყოველივე ამ მზრუნველობით არის სავსე. ტფილისი არც ისე მდიდარი იყო დასასვენებელი ბაღებით და ზაფხულის სიცხეებში ისინი ვერ იტევდნენ მოსახლეობას.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ** ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და აი დღეს, 24 ივლისს, ახალი პარკი იხსნება.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დასვენებისა და კულტურის ამ ახალ პარკს, რომელიც ფუნიკულორის პლატოზე გაიშალა, დიდი **სტალინის** სახელი უწოდა.

დღეს საღამოდან აელვარდებიან მისი ლამპიონები, აშრიალდებიან შადრევნები და ბედნიერი მოსახლეობის სიცილ-კისკისი, ბავშვების მხიარული ყიჟინა დაარღვევს მყუდროებას, რომელიც აქამომდე იყო გაბატონებული იქ.

ვისაც ძველ გიმნაზიაში უსწავლია, გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან ემახსოვრება, რომ ფუნიკულორი ერთად-ერთი იყო რუსეთის მთელს იმპერიაში. ის ახლაც ერთადერთია მთელს საბჭოეთში. მაგრამ წინათ იყო სიბინძურე, ორიოდე საეჭვო დუქანი, ერთ-ერთი დანჯღრეული კარუსელი და არც ერთი ხე, არც წყალსადენი, არც კანალიზაცია.

ღამით ორი ნაბიჯით ვერ გასცილდებოდი სადგურს, ღამეში გადახრუკულ მიწაზე ეყარნენ სხვადასხვა ჯურის ავარები და ხულიგნები. თუ დანა არა, გაძარცვა ან სკანდალი არ აგცდებოდა. სადღაც არღანი ჰყვიტინებდა, საიდანღაც ლოთების ღრიანცელი მოისმოდა.

ახლა ამ პლატოზე ასვლა შეიძლება არა მარტო ამწევ რკინისგზით, არამედ ლამაზად გაჭრილი და განათებული ბილიკითაც. კოჯრის გზიდან გაყვანილია შესანიშნავი ასფალტირებული გზა და აქ ივლიან ავტობუსებიც. ეს გზა კოჯრის შოსედან მეხუთე კილომეტრზე უხვევს მარჯვნივ და, გზას კი არა, გრძელ დაუსრულებელ ხეივანს წარმოადგენს. ათიათასი ახალგაზრდა აკაციის ხე არის ჩარგული მის გასწვრივ, ორივე მხრივ, და შიგ რომ მიჰქრიხარ, ეს ახალგაზრდა ხეები ბავშვებივით გიქნევენ ხელებს კი არა, ტოტებს.

გზის ბოლოში, ფუნიკულორთან, ფართო მოედანია მანქანების სადგომად და აქიდან ფართო კიბეებით პირდაპირ ფუნიკულიორის ცენტრალურ სადგურთან ადიხარ.

უზარმაზარი სამსართულიანი შენობა შემოსალტულია ლოტოსის ღეროებივით ტანაყრილი კოლონადებით. ამ კოლონებზე გასაოცარი სიმსუბუქითა და სიმკვიდრით არის დაყრდნობილი მძიმე და მყარი შუშაბანდის სახურავი.

სადგურის პირველი სართული შემკულია თეთრნაკვთიანი ნაცრისფერი ხელოვნური მარმარილოთი, რომელიც ფუნიკულიორის ვაგზალსა და სალოდინო დარბაზს წარმოადგენს. ვრცელ დარბაზებში დგას ლამაზი დგამი. იქვე მოწყობილია ბავშვთა ოთახები ყველა ჰასაკისათვის. საძილო, სათამაშო, სასადილო. დასასვენებლად ამოსულ ბავშვებისათვის შერჩეულია ხელმძღვანელებისა და ბავშთა ექიმების შტატი.

პირველ სართულიდან შრომის წითელ მარმარილოს ვრცელი კიბეებით მიემართებით მეოთხე სართულისაკენ, სადაც გამართულია რესტორანი, კაფე და საბილიარდო. კაფეს უდიდესი ნაწილი ვერანდაზეა გამოტანილი და იგი მორთულია ჩალის ლამაზი სკამებითა და მაგიდებით.

მესამე სართული სამკითხველოს, ბიბლიოთეკას, შოთა რუსთაველის დარბაზსა და საჭადრაკო ოთახებს უჭირავთ.

აქედან იშლება გასაოცარი პანორამა ტფილისისა—მცხეთის ვიწროებიდან ყარაიისა და სამგორის ველებამდე.

ეს ერთი ულამაზესი ქალაქთაგანი საბჭოთა კავშირისა ზვიადად არის გაფენილი მტკვრის ხეობაში და მისი ასფალტირებული პროსპექტებიც მტკვარივითვე გაბნეულან წყლისფრად.

ისეთი სიმაღლიდან დასცქერი ყოველივეს, რომ უზარმაზარი თერთმეტსართულიანი სახლი ჩელუსკინელთა ხიდის მახლობლად და თვით მეტეხი სათამაშოებივით მოსჩანან.

სადგურიდან კოჯრის მიმართულებით ადის ვრცელი ცენტრალური ტერასა, რომლის საფეხურებიც კლავიშებივით არის გათლილი ბაზალტის ქანისაგან. ეს ტერასა დიდის გემოვნებითა და საზრისით არის ნაგები. ყოველი ხუთი საფეხური სრულდება განიერი მოედნით, რაც ძალზე ამსუბუქებს სიარულს.

ირგვლივ ტუიები, წიწვნარი, წყავი, თელა და ჰადრები შრიალებენ.

ტერასის ბოლოში მაღალ კვარცხლბეკზე ამართულია მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** გრანდიოზული ქანდაკება. გარდა იმისა, რომ ქანდაკება შესანიშნავად არის შესრულებული, მისთვის ბუნებრივი გარემოც გასაოცარი მოხდენილობით არის შერჩეული.

ირგვლივ მთელ პლატოზე გაშლილია ვრცელი ბაღი, რომელიც 9,5 ჰექტარს შეიცავს. ეს ხეები ახლაც კარგა მოზრდილია და სულ მალე ტყედ იქცევა. აქ გამართულია კანალიზაცია და ამოყვანილია ნატახტარის მძლავრი წყალსადენი. მისი წყლით უხვად რწყვა ამ ტყის ზრდასა და გავრცელებას მტკიცე პერსპექტივას უქმნის. ამ ტყეს მომავალ წელს 15 ჰექტარი კიდევ მიემატება, და ამგვარად ის მთაწმინდა, რომელიც ასეთის გატაცებით უყვარდათ გრიბოედოვსა და ბარათაშვილს, რომელიც ასე გააზრიოკეს მეფის რუსეთის მთავრობის მოხელეებმა და რომელიც შუაქალაქში უზარმაზარ გახურებულ უთოსავით იდგა, სულ მალე ტფილისის ცხელი ჰაერის ერთ საუკეთესო გასანელებელ საშუალებად იქცევა და კოჯრის ნიავიც გრილად დაჰბერავს.

პლატოზე აგებულია შვიდასადგილიანი საზაფხულო თეატრი ფართო ესტრადით. იქვე არის კეგელბანი, ტირი, კარუსელი, საქანელები, ფიზკულტურის მოედნები. ყველგან ბილიკებია და პავილიონები ნაყინისა და გამაგრილებელი სასმელებისათვის. აგებულია სპეციალური ესტრადა ორკესტრისათვისაც. ერთის სიტყვით, არ არის დავიწყებული არც ერთი წვრილმანი ადამიანის კულტურული მოთხოვნილებისა, რომლის დაკმაყოფილებაც აქ არ შეიძლებოდეს.

თვით ფუნიკულიორის ლიანდაგი და ვაგონებიც კაპიტალურად არის შეკეთებული და რეკონსტრუქტირებული. ქვემო სადგურამდე მიტანილია შესანიშნავი ასფალტირებული ქუჩა.

ზემოდან ფეხით ჩამოსასვლელი ბილიკიც განათებულია. ეს ბილიკი მთაწმინდის პანთეონთან ჩადის.

აქ ასვენია უბედნიერესი დედა დედათა შორის — ეკ. ჯუღაშვილი.

აქ ისვენებენ სიცოცხლეში გაწამებული ძვლები გრიბოედოვისა, ილ. ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ვაჟა-ფშაველასი, ვასო აბაშიძისა, დავ. კლდიაშვილისა და საქართველოს სხვა საამაყო შვილთა.

ამ მთას შეჰღაღადებდა ოდესღაც აკაკი:

„სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო".

ახლა ეს მთა ყველას მკურნალად ეყრება, ყველას, ვისაც საბჭოთა ხალხის ბედნიერება ახარებს.

ახალი ფუნიკულიორი სხვა მრავალ მაგალითს შორის წარმოადგენს იმ დიდ მაგალითს, სადაც თვალსაჩინოდ შეგვიძლია დაინახოთ, თუ როგორ ზრუნავს დიდი **ლენინისა** და **სტალინის** გენიით შთაგონებული საბჭოთა ხელისუფლება მშრომელი მასების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

და ყოველი დამსვენებლის გული აქ ამოსვლისას კიდევ ერთხელ ზედმეტად აღივსება მადლიერებით საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი მტკიცე ხელმძღვანელის ამხანაგ **ლავრენტი ბერიასადმი**.

აი ამას ეწოდება სტალინური სტილი მუშაობისა და სტალინური ზრუნვა ადამიანისთვის.

# ახალ მთაწმინდას

**კალე ბოგოხიძე**

ყოველ ჩვენგანს ახალისებს გაზაფხული,
წითელ ვარდის და ცისფერი იის მოსვლა,
როცა ვენახ ამწვანებს გადაშლილი,
რომ ჯეჯილი, მთაწმინდა, ველები მოსავს.

როცა მთაზე მოისმის მწვანე კაბას,
ლამაზ ტყე-ველს რომ სიცოცხლე აქვს მწვანე,
როცა კოჭორს ცელქი სით აღმოხს მთა-მთას
და ცის თაღი მისი ალერსით დაიჭედავს.

რომ სამშობლოს მშვენიერს და გაზაფხულს
ფუტკრებივით გრილი სიო, სიო დილის,
რომ მზის სხივი ჩაეფინება გარსა ტყეში
და ტყეს ლურჯ სიღრმეს ხედავს ისპის ტბები.

ჯანსაღი ზღვა როცა შრომობს
და მტკვრის ფერფიან გულში იგრავს სიყვარულით, —
შრომობენ იგი, ვინც სიმღერა დააშრობს,
და ვინც იმანი ჩვენი ხალხის სიხარულს!

ვინ არის, რომ ამ სიმღერა დააშრობს
და მშვიდობა ჩვენისიღერას არ იძლევის,
რომ არ შესვას მოყრილა ციკი წყაროს
და სამშობლოს განახლებულ არ იდებოდეს!

მთაწმინდიდან მშრომელ ათიათას გადაეშლება
ბრძოლისა-ბრძოლის ქანდაკება მაღალ ტანით,
და ქალაქი დიდი მატარის დიდებისა
ქუჩის ტბილის ლაღად მაშინ და ბაღი სტალინს.

სით ჭვრის და ცა ვარდისფერ ნაღერია,
გარმონიული მოგზაურია ცა კაშკაში,
გამშრომელი მოიმაღეს ჩვენს ბერია,
დიდ სწიერს დიდი მშრომელი ჩვენი ვაშა!

ვაშა იმას, ვინც ამენებს მშრომელთა მხარეს,
ვინც მშრომლების ხალხს ანიჭებს ნათელ მზეობს!
ვაშა იმას, ვინც სიბარბაცმ გადახარა!
ვაშა იმას, ვინც მაშენალია ტურფად ზიდას!

ქება იმას, ვინც მთაწმინდა დაამშვენა,
ვინც ანათებს ზეცას ფერობზს, ზღვიურს მზეებს,
ვინც აშენა ვინც ტყეებზა აიზრდა,
დიდს ოთხვეტს და სიმართლეთ აქრიოს მზეებით!

ყოველ ჩვენგანს გული ერთობს გაზაფხული,
წითელ ვარდის და ლურჯთვალება იის მოსვლა,
დიდს კი ყოველ დღე ერთი თამაში ვული,
რომ მთაწმინდა მწვანე ბაღით შეიმოსა!..

# ახალი ფუნიკულორი ახალ ტფილისზე

**ი. მჭედლიშვილი**

ტფილისში სასწავლებლად ჩამომიყვანეს 1900 წელს, როდესაც ქართველი თავადაზნაურობა დღესასწაულობდა საქართველოს რუსეთთან „შეერთების" ასი წლისთავს.

მთაწმინდაში ვცხოვრობდი ჩემს უფროს დასთან, რომლის ერთ-ოთახიანი ქოხი შიგ მთაწმინდის კლდეში იყო შეჭყუნული. ამ ხევის ერთი ქედი ადიოდა სწორედ იქ, სადაც შემდეგ ფუნიკულიორი იქნა გამართული ბელგიის უსახელო საზოგადოების მიერ.

რადგანაც ჩემი ბავშვობა ამ მთასთან და ამ მთაზე გავატარე, ბევრი რამ შემიძლიან ვთქვა, ბევრი რამ მახსოვს ამ ადგილისა.

მთაწმინდის წვერი, სადაც ახლა ფუნიკულიორია, წარმოადგენდა ხრიოკ და კლდოვან ოღრო-ჩოღროს, იქ ბალახიც კი არ მოდიოდა გაზაფხულზე. თვითონ მთა თავისი ხევებით სრულიად ტიტველი და უპატრონო იყო, საიდანაც წყალდიდობის დროს ნიაღვარი იმოდენა ღორღს ჩამოიტანდა ხოლმე ეხლანდელ რუსთაველის ქუჩაზე, რომ გავლა შეუძლებელი იყო.

მაშინ განთქმული იყო ორთაჭალისა და ვერის ბაღები. ეს ბაღები კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნოდათ. მაგრამ იქ მშრომელი ხალხი ვერ დაისვენებდა, რადგან ეს ბაღები მეძაობის, გარყვნილებისა და მკვლელობის ადგილს წარმოადგენდნენ. იქ თავს იყრიდნენ ყველა ჯურის ავაზაკები. ადამიანის დამმონავებლები, ჩარჩები და ყოველნაირი ბნელი საქმეების მოტრფიალენი.

შემდეგ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ ააშენა ფუნიკულიორი, რომლის ზედა სადგურის შენობა ჩიტის ბუდესავით ესკუპა მამადავითის მთის წვერზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე გადაიჭრა საკითხი მშრომელი ხალხისათვის დასასვენებელი ადგილების, ბაღების, გასართობებისა და კულტურული ადგილების შექმნისა. საკითხის გადაჭრას საქმეც ფეხდაფეხ მოჰყვა.

მთლიანად გარდაიქმნა ტფილისი. გაგანიერდა მისი ვიწრო ქუჩები, გაფართოვდა მოედნები. ახალ, მშვენიერ და საუცხოვო ნაგებობათა უბნებად იქცა ქოხმახიანი ნაწილები ტფილისისა. აშენდა ზაჰესი, გამოყვანილ იქნა ნატახტარის წყალი, მტკვარი ჩასმულ იქნა რკინაბეტონის მკვიდრ კალაპოტში, ტყით შეიმოსა ტფილისის ირგვლივ მდებარე ხრიოკი მთები კოჯრამდე და მლაშე ტბებამდე.

მამადავითის მთაზე, სადაც წინათ ბეღურაც კი ვერ მონახავდა ჩრდილს, ახლა ტყეებია. მთები ტფილისის გარშემო მწვანე ტრანშეებით არის დაქსელილი და დაჩრდილული ყველანაირი მცენარით.

ვინ იფიქრებდა, თუ ლისის ტბა ადამიანების გამაცოცხლებელ-დასასვენებელ კუთხედ იქცეოდა? ლისის ტბა, სადაც ჩალისა და მყრალი ყაპყის მეტი არაიყორა ადამიანის თვალისა და გულისათვის, დღეს საუკეთესო დასასვენებელი კუთხეა ტფილისის მშრომელთათვის.

გარდაიქმნა ტფილისი.

მის გარდაქმნასთან ერთად ძირიან-ფესვიანად გარდაიქმნა ფუნიკულიორის შენობაც.

აქ წინად ოღრო-ჩოღრო ზურგები და ქანჩახები იყო. ასე უეცრად საიდან გაჩნდა ამ ხრიოკ პიტალოზე ეს უზარმაზარი ხეები?

თვით ფუნიკულიორის შენობა?!

მოკლედ არ შეიძლება ამ შენობის შესახებ ლაპარაკი. მას განსაკუთრებულად ვრცელი წერილი უნდა მიეძღვნას. ამ წერილში ვერ ჩაეტევა მისი სიდიადე.

ტფილისს ერთი მომხიბლავი და წარმტაცი ადგილი კიდევ მიემატა.

# ტფილისის ფუნიკულორის ისტორიიდან

**ი. ბალახაშვილი**

რუსეთის პირველი რევოლუციის კვირაძალში ქ. თბილისში მთაწმინდის ზემო პლატოზე ფუნიკულორის ასაგებად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა.

ფუნიკულორი შენდებოდა ფრანგი ინჟინერის ა. ბლაშის პროექტის მიხედვით.

1905 წლის მარტის უკანასკნელ რიცხვებში ფუნიკულორის მშენებლობა დასასრულს მიუახლოვდა.

ფუნიკულორის გახსნის დღედ გამოცხადებულ იქნა 27 მარტი.

გაზეთ „კავკაზის" „თბილისის ქრონიკა" აცნობდა საზოგადოებას:

„ფუნიკულორის გახსნა მთაწმინდის მთაზე შესდგება 27 მარტს დილის 10 საათზე. ფუნიკულორის ქვემო - სადგურზე გადახდილ იქნება პარაკლისი, რის შემდეგაც მოხდება ვაგონების მოძრაობის გახსნა. მოსახლეობას ფუნიკულორი მომსახურეობას გაუწევს დილის 2 საათიდან, მანამდე ვაგონები იმუშავებენ დაპატიჟებულ პირებისათვის".

დანიშნულ დღეს მოეწყო ფუნიკულორის საზეიმო გახსნა.

გაზ. „ცნობის ფურცლის" რეპორტიორი სწერდა:

„27 მარტს დაიწყო მოქმედება ფუნიკულორმა. როგორც სადგურები, ისე მთელი გზა მორთული იყო ბაირაღებით. პარაკლისის შემდეგ, რომელსაც დაესწრნენ ფუნიკულორის გამგეობა, ქალაქის მოურავი და გამგეობის წევრნი, ქალაქის მოურავმა (ხ. ვერმიშევმა) გასჭრა ლენტი და გამოაცხადა ფუნიკულორის წესიერი მიმოსვლა დაწყებულად. შემდეგ ამისა სამღვდელოება და წარმომადგენელნი, რომელნიც პარაკლისს დაესწრნენ, ჩასხდნენ ვაგონში და ავიდნენ მთაზე, იქ მათ ორკესტრი დაჰხვდათ. სამანქანო განყოფილების დათვალიერების შემდეგ სტუმრებს ფუნიკულორის გამგეობა გაუმასპინძლდა საუზმით. მთელ გზაზე ორი ვაგონი მუშაობს, თითოში 60 კაცი ეტევა, 5 წუთის განმავლობაში აჰყავს სადგურამდის. ასვლა-ჩამოსვლა აბაზად ღირს".

ზღვის დონიდან 2.200 ფუტ. სიმაღლეზე აშენებულ იქნა ფუნიკულორის ზემო-სადგური. ფუნიკულორის მთელი გზა მთის ფერდობზე 485 მეტრის სიგრძეზე გრძელდებოდა. მისი გაქანება მერყეობდა 49o და 60o შორის.

ერთი მეტრის სიგანის ერთლიანდაგიანი გზა მიემართებოდა ფუნიკულორის ორ სადგურთა შესაერთებლად. ლიანდაგის შუა ნაწილში, მთაწმინდის ეკლესიის მახლობლად, მოწყობილი იყო 80 მეტრის სიგრძის ვიადუკი (ხიდი), რომელზედაც გაკეთებული იყო გადასახვევი და ბაქანი.

ვაგონები მოძრაობაში მოჰყავდა ელექტროენერგიას, ამისთვის ფუნიკულორის ზემო-სადგურზე დადგმული იყო 96 ცხენის ძალიანი ელექტრომანქანა.

1905 წლის 27 მარტს გახსნილი ფუნიკულორი აშენებული იყო საზღვარგარეთის ფუნიკულორების ყაიდაზე. თავისი მოწყობითა და ნაგებობით იგი გაცილებით მაღლა იდგა ნიჟნი-ნოვგოროდის ფუნიკულორზე. მისი აშენება დაჯდა 280.000 მანეთი.

შევიდა თუ არა ფუნიკულორი ექსპლოატაციაში, რევოლუციურმა მოძრაობამ ამ დარგის მუშებში უფრო მძლავრად გაიდგა ფესვი.

ფუნიკულორის მუშებიც ეხმაურებოდნენ ამხანაგ **სტალინის** მიერ დანთებულ რევოლუციურ ცეცხლს. 9 იანვრის ამბების შემდეგ თბილისში ასე სწრაფად დაწყებულ გაფიცვა-დემონსტრაციებში ისინიც იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას.

ფუნიკულორის მუშათა პირველი გაფიცვა მოხდა 1905 წლის 9 ივნისს.

აღნიშნული წლის გაზ. „ცნობის ფურცლის" 11 ივნისის ნომერში ვკითხულობთ:

„გუშინ-წინ დილიდანვე გაიფიცნენ ფუნიკულორის მოსამსახურენი— კონდუქტორები, დამტარებლები, მემანქანენი და სხვ. შესწყვიტეს აგრეთვე ელექტრონი, რომლითაც განათებული იყო, როგორც თვით ფუნიკულორი, ისე ზემოთ გაშენებული ბაღები და ბუფეტ-რესტორანები. ტრამვაის კანტორიდან დათხოვნილი უფროსი ჩენგერი ეხლა თურმე ფუნიკულორის უფროსად დაუყენებიათ და მოსამსახურენი, სხვათა შორის, თხოულობენ იმის გადაყენებასაც".

აუტანელ პირობებში მყოფმა ფუნიკულორის გაფიცულმა მუშა-მოსამსახურეებმა მთავრობას მთელი რიგი მოთხოვნილებანი წაუყენეს.

მოვუსმინოთ ცნობას:

„როგორც ვწერდით, 9 ივნისს გაიფიცნენ ფუნიკულორის მოსამსახურენი. ისინი თხოულობდნენ: 1. დათხოვნილ იქნას ფუნიკულორის უფროსი, რომელიც ერთხელ უკვე დაითხოვეს ტრამვაიდან; 2. დაუბრუნდეს სამსახური უმიზეზოდ დათხოვნილ ორს მოსამსახურეს. 3. ნება მიეცეთ დაარსონ საამხანაგო სასამართლო; 4. დაწესდეს 8 საათის სამუშაო დღე და 5. ზამთრის ოთხი თვის განმავლობაში, როცა ფუნიკულორის მიმოსვლა შეწყვეტილია, ეძლიოთ მოსამსახურეებს ნახევარი ჯამაგირი".

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ დედამიწის ერთ მეექვსედის მუშებთან ერთად თბილისის ფუნიკულორის მუშებსაც მოუპოვა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება.



ფუნიკულორის საერთო ხედი

# რუსთაველი და პუშკინი

ჟურნალ „ზვეზდას"* მიმდინარე წლის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორის მ. კ. აზადოვსკის საყურადღებო წერილი შემდეგი სათაურით: „რუსთაველი პუშკინის ლექსებში". ამ წერილში პროფ. მ. კ. აზადოვსკი დამაჯერებელი საბუთებით ამტკიცებს, რომ დიდი რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი იცნობდა შოთა რუსთაველის შემოქმედებას და პოეტის გვარის დაუსახელებლად ახასიათებს მას 1829 წელს დაწერილ ლექსში.

ლექსი, რომელზედაც პროფ. მ. კ. აზადოვსკი ამყარებს თავის ჰიპოტეზას, პირველად აღმოჩენილ იქნა პუშკინის ხელნაწერებში 1911 წელს, ხოლო 1920 წლიდან შეტანილია პოეტის თხზულებათა ყველა გამოცემაში. პუშკინის მკვლევართა შორის ამ ლექსის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს, მათის აზრით, იგი უდაოდ პუშკინის კალამს ეკუთვნის. მკვლევართა დავა მხოლოდ დაწერის თარიღს შეეხება, მაგრამ უკანასკნელი ცნობების მიხედვით შეიძლება ეს საკითხიც გადაჭრილად ჩაითვალოს და ლექსი დათარიღებულ იქნას 1829 წლით, პუშკინის კავკასიაში ყოფნის პერიოდით.

მოვიყვანოთ ჩვენთვის საინტერესო ლექსის ოთხი ტაეპი, სადაც, პროფ. მ. კ. აზადოვსკის აზრით, პუშკინს დახასიათებული აქვს ერთის მხრით სპარსულ-ირანული პოეზია, ხოლო მეორეს მხრით მის საპირისპიროდ— „მშვენიერი, საოცარი მხარის" პოეტი — რუსთაველი

„Любили Крым птенцы Саади:
Порой восточный краснобай
Здесь развивал свои тетради
И удивлял Бахчисарай.
Его рассказы растилались,
Как эриванские ковры,
И ими ярко украшались
Гиреев ханские пиры.

Но ни один волшебник милый,
Владетель умственных даров,
Не вымышлял с такою силой
Так хитро сказок и стихов,—
Как прозорливый и крылатый
Поэт той чудной стороны,
Где мужи грозны и косматы,
А жены гуриям верны".

აქ, მართლაც, ნაგულისხმევია ორი პოეტური ქვეყანა და მისი მიმდევრები. ერთის მხრივ—„საადის მიმდევრები", ყირიმში ხანების კარზე მომქმედნი, ხოლო მეორეს მხრივ — „შორსმჭვრეტი და ოცნებით ფრთებშესხმული" პოეტი „მშვენიერი საოცარი მხარისაა". ეს პოეტი გენიალური შოთა რუსთაველია.

პროფ. აზადოვსკი ასახელებს სხვადა სხვა ლიტერატურულ წყაროს, რომლებიც პუშკინს უნდა სცოდნოდა საქართველოში გამგზავრებამდე. 1802 წელს გამოქვეყნდა მწერლისა და ბიბლიოგრაფის ევგენი ბილხოვიტინის წიგნი „საქართველოს ისტორიული გამოხატულება". ამ შრომაში დახასიათებულია რუსთაველი და ჩახრუხაძე და მათი თხზულებანი. კერძოდ, შოთა რუსთაველი შედარებულია ოსიანთან და არიოსტოსთან. ამის მიხედვით ირკვევა, რომ რუსი მკითხველი საზოგადოება და მათ შორის პუშკინიც ქართულ მწერლობას იცნობდა მე-18 საუკუნის დასაწყისიდანვე და არა მხოლოდ 1833 წლიდან, როცა „ტელესკოპში" დაიბეჭდა წერილი რუსთაველზე.

პუშკინი რომ რუსთაველის შემოქმედებას იცნობდა, ამაში ძნელია ეჭვის შეტანა. პროფ. მ. კ. აზადოვსკის მიერ დასახელებული საბუთების გარდა, არსებობს კიდევ ერთი არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საბუთი —ეს არის თვით პუშკინის ტფილისში ჩამოსვლა 1829 წლის 26 მაისს, მისი მოგზაურობა კახეთში და ნაცნობობა იმ დროინდელ ისეთ სახელოვან პოეტებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, როგორნიც იყვნენ ალ. ჭავჭავაძე, დიმიტრი თუმანიშვილი, ს. დოდაშვილი, გრ. ორბელიანი, ვახტ. ორბელიანი და სხვანი.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ქართველ საზოგადოებას, რომელმაც პუშკინი დიდის პატივით მიიღო, არ გაეცნო პოეტისთვის თავისი ლიტერატურის შედევრები და მათ შორის „ვეფხის-ტყაოსანი". ეს ფსიქოლოგიურად ისე ცხადია, რომ მისი დამტკიცებისათვის ლიტერატურული დოკუმენტები თითქოს *საჭირო არც კი არის.

საქართველოში ყოფნის დროს პუშკინი ახლოს გაეცნო ქართველთა ზნე-ჩვეულებას, ხალხურ სიმღერებს, ადამიანთა ყოფაქცევას და სხვას, რამაც არა ერთხელ ჰპოვა თავისი გამოხატულება პოეტის შემდეგდროინდელ ნაწარმოებებში.

პროფ. მ. კ. აზადოვსკიმ მეტად საყურადღებო საკითხი წამოაყენა როგორც რუსთაველოლოგებისათვის, ისე პუშკინისტებისათვის. ჩვენის ღრმა რწმენით,—და ეს პირად საუბარში პროფ. აზადოვსკიმაც დაადასტურა,—ხოლო ახლო მომავალში კავკასიაში უნდა ველოდეთ ისეთი მასალის აღმოჩენას, რომელიც უფრო მეტ ნათელს მოჰფენს წამოყენებულ პრობლემას. ჩვენის აზრით, თუ ასეთი მასალა არსებობს სადმე, პირველ რიგში იგი ჩვენს მუზეუმებსა და არქივებში უნდა მოიპოვებოდეს.

**მიხ. ჩიქოვანი**

# აკაკი წერეთლის წერილები ეკატერინე გაბაშვილისადმი

1.

ძვირფასო ბატონო კატო!

თქვენი წერილის უპასუხობას ჩემი მხრით უზდელობას ნუ მიაწერთ! დიდი ხანი არ არის რაც ავიღე კალამი ხელში და ახლაც ისევე მიკანკალებს ხელი. მე სწორეთ საიქიოდან გამომაბრუნეს, მაგრამ არა მგონია რომ მარტო თქვენი ლოცვის ბრალი ყოფილიყოს — დავიჯერო, რომ მაშოს[2] ჩემი გულისთვის რეკვიემი მაინც არ დაეკრას მის ფორტეპიანზე? არ ვიცი რა მადლობა შევწიროთ გახსენებისთვის. „პოეტი რაც უნდა ბოროტი იყოს, მაინც კეთილია, ეს თქვენ შეგეხებათ საკუთრად! მე წილი არ მიძევს, რადგანაც ამ ბოლოს დროს ლოცვაც დამიწყიათ და ხშირად იმეორებთ, უთუოდ: „გული წმინდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა!" იმედია ერთმანეთს მეგობრულად შევხვდებით.

თქვენი პატივისმცემელი აკაკი

2.

ბატონო ეკატერინე!

„ლხინი" გახლავსთ შესავალი იმ მოთხრობისა, რომელიც შემდეგისთვის მზადდება და მაშასადამე, მაგ პატარა ნაწყვეტიდან გადაწყვეტილ რამის დასკვნის გამოყვანა შეუძლებელია — რაც შეეხება ჩემს პირად გრძნობებს „მამულისადმი იდიალურს", თუ ისე, უნდა მოგახსენოთ გამოტეხით, რომ ორივეზე შორს არის ჩემი უბედური ბუნება!...

მე რომ ისე მიყვარდეს სამშობლო, როგორც წარმოგიდგენიათ, განა შესაძლებელი იყო რომ ამეტანა მისი სამწუხარო დგომარეობა და ჩემს თავს გავფრთხილებოდი? ცხადია, რომ მისი ჯავრით ატაცებულს ან გული უნდა გამხეთქოდა და ან ტვინი გადმომბრუნებოდა აქამდი, მაგრამ ეტყობა, რომ არც ერთს არ დასდგომია ჯაფა—ჩემი სამშობლოსადმი სიყვარული ყოფილა მხოლოდ გულისა და ტვინის ფხანვა და დღეს კი ესეც აღარ არის, რადგანაც ნამეტანმა უსამართლოდ ზედ ნიშადურის დასხმამ საგრძნობელი ძაფები დასწვა-დაწყვიტა. რაც შეეხება პირადს—კერძოს, რა უნდა მოგახსენოთ ამის მეტი, **რომ სახაცინოა სარეცლად დავარდნილმა მომაკვდავმა სანავარდო ფრთებზე იფიქროს!** *) ჩემი გული ჩემდა საპირადოდ, ანუ საჩემოდ, ყოველთვის კუბო ყოფილა ჩემის გრძნობის და არა ტახტი და კუბოთაც უნდა დარჩეს სამარემდე.—მე მგონია, რომ ეს ადვილი გამოსაცნობია, ვინც კი დაუკვირდება ჩემს ცხოვრებას და განსაკუთრებით თქვენთვის, როგორც ნამდვილ მწერლისთვის.

მარადის აქამდე პატივისმცემელი აკაკი

3.

ბატონო კატო!

არ ვიცი თუ რა მადლობა შემოგწიროთ წერილისათვის, რომელმაც დიდად მასიამოვნა. რა საჭიროა ან ბედაური და ან სხვა ხერხი, რომ, როდესაც მართლის მთქმელს თქვენისთანა თანამგრძნობი და აზრების თანამოაზრე ეყოლება. — თქვენი ქმარი[4] თუ იყო, მისი შეხედულება, რომ ვიცოდე ძალიან მიამება.

მარად პატივისმცემელი აკაკი

**შენიშვნები:**

აკაკის წერილები ეკატერინე გაბაშვილისადმი ინახება აკაკის ავტოგრაფებში, სხვა კერძო ბარათებთან ერთად, საქ. მუზეუმში.

ს. გორგაძეს, აკაკის ხელნაწერების აღნუსხვისას, 1915 წელს, მიუმართავს ეკ. გაბაშვილისთვის, რომ უკანასკნელს მიეცა განმარტებები წერილების შესახებ. გაბაშვილსაც, წერილების უკანა მხარეს 1915 წლის 5 მაისს დაუწერია განმარტება მხოლოდ მეორე და მესამე წერილებისთვის. აი ისინიც:

2.

„ეს წითელი ხაზი აკაკის გასვებულია. და რამდენათაც მახსოვს ყოველთვის თავის პირად გრძნობას ასე პესიმისტურად უყურებდა. მე ბევრჯელ მითქვამს იმისთვის: შენ ცივი, უგულო კაცი ხარ და შენ პოეტურ გატაცებასაც სითბო აკლია მეთქი. მართალი ხარო. ერთხელ რაღაც მოთხრობა დასწერა: „ლხინი", სადაც თუ მეხსიერება არ მღალატობს, სიყვარულზედ ბაასობდა. მე ეს არაჩვეულებრივი მოვლინება აღვნიშნე პატარა ბარათით და იმან ამ წერილით მიპასუხა: „ჩემი გული ჩემის გრძნობის ყოველთვის კუბო იყოვო და არა ტახტიო". მე ვფიქრობ, რომ აკაკი ამ სიტყვებში ნამდვილ სიმართლეს ამბობს. არავინ არის მოწმე იმისი, რომ აკაკის ჰყვარებოდეს ვინმე ნამდვილის პოეტურის სიყვარულით, თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ღრმა სიბერის დროს დასწერა ორიოსამი ლექსი, რომელშიც ეცადა გამოეხატნა ნამდვილი გრძნობა, მაგრამ ამაოდ. არც ლექსის ფორმა და არც შინაარსი არ შეესაბამებოდა პოეტის აღმაფრენას და იმის მაღალ ნიჭიერებას.

ეკ. გაბაშვილი 1915 წ. მაისის 5.

3.

წერილს შემდეგი განმარტება აქვს მიწერილი იმავე თარიღით: აკაკიმ „ვეფხის-ტყაოსანზედ" რუსულად საჯარო ლექცია წაიკითხა ქართულ თეატრში. მთელი ქალაქის ინტელიგენცია დაესწრო განურჩევლად ეროვნებისა. პირველი ნაწილი ლექციისა ლამაზი იყო, გაბედული და ჩვეულებრივის აკაკისებურის აფორიზმებით შემკული. მე აღტაცებული ვიყავი და ბარათი მივწერე. ამაზე ამ ბარათით მიპასუხა.

მეორე ნაწილი ლექციისა ძლიერ უფერული გამოდგა და ქართველი საზოგადოება დიდად შეაწუხა, სხვა ეროვნების წარმომადგენელთა თვალში ვეფხის-ტყაოსანი შეურაცხო რაღაც უმსგავსის თარგმანებით და მაშინ ხომ ილია ჭავჭავაძემ პასუხი დაუწერა, დაჰგმო იმის საქციელი და მათ შუა გაუთავებელი მტრობა და სამდურავი ჩამოაგდო.

ეკ. გაბაშვილი.

1) წერილი დაწერილია 1894 წელს. ნახსენები ავადმყოფობის შემდეგ დაწერა აკაკიმ „სიკვდილი".

2) მაშო-მარიამ ზაქარიას-ასული გაბაშვილი, მუსიკის მასწავლებელი. დაიბადა 1853 წელს, გარდ. 1930 წ. სწავლა მიღებული ჰქონდა თბილისში, წმ. ნინოს სასწავლებელში. დიდი მუყაითი იყო. ხშირად მართავდა წვეულებებს. აკაკი ხშირი სტუმარი ყოფილა მარიამისა. მარიამი იყო ეკ. გაბაშვილის ქმრის და.

3) დაწერილია 1887 წ. ცნობილია, რომ იმ წელიწადს აკაკიმ მოხსენება წაიკითხა „ვეფხის-ტყაოსანზე". ეკატერინეს მიუწერია თავისი აზრი მხოლოდ პირველი ლექციის შესახებ. ეს წერილი მისი საპასუხოა.

4) თქვენი ქმარი — ალექსანდრე ზაქარიას-ძე გაბაშვილი, ეკატერინეს მეუღლე. თანამშრომლობდა სხვადასხვა ბეჭდვით ორგანოებში. წერილებს წერდა სოფლის მეურნეობაზე.

*) ხაზგასმა აკაკისაა.

**ს. ხუციშვილი**



ახალი სტალინის სახელობის ფუნიკულორი და მთაწმინდის პარკის საერთო ხედი

ფოტო რ. [illegible]



ამხანაგ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მთავარი შესასვლელი შარაგზიდან

# ხარობს სამშობლო

### ვარლამ ჟურული

ფირუზობს ცა და მზეს ამცინარებს,
ვარდებს ანათებს ბაღში ივლისი.
მზემ დააფრქვია ოქრო მყინვარებს
და მეტ სინათლით ბრწყინავს თბილისი.

მინდა შევისხა არწივის ფრთები,
მინდა ავარდე, ავფრინდე მაღლა;
ისე ბრწყინავენ სამშობლოს მთები,
მგონია, ვაჟაც წამოდგეს ახლა.

ვაჟას უყვარდა მთების დიდება,
სიმღერების თქმა ლექსთა ხვავებით,
მეც სილამაზის ქება მინდება
დიდი სტალინის მთის აყვავებით.

აქ შადრევნული შხეფების ცვარი
ღამით ყვავილებს ეციმციმება,
აქ ელნათურით კიაფობს მტკვარი
ძირს მოზვირთავე ვერცხლის მძივებად.

აქ მარმარილოს სვეტების ახლოს
მერცხალი არხევს ფოთლების ფარჩებს,
ბელადის ბიუსტს სურს ფრთა შეახოს
მისი ღიმილის გუშაგად დარჩეს.

ხან ჩოქურთმიდან ჩუმით მალვაში
თვალს ვერ აშორებს ხეივანს, მაღლობს,
სადაც სეირნობს ბაღში ქალ-ვაჟი
და ხის ტოტიდან ფრინველი გალობს.

ახლა სტალინი თბილისს გასცქერის,
უსმენს მშობლიურ ქართლის მდინარეს,
მოსჩანს კავკასი — კერა ჩანჩქერის;
შორს კიდევ სადღაც ქარი მძვინვარებს.

შორს კიდევ, მთების და ზღვის გადაღმა
მტრებთან ომი აქვთ ესპანელ გმირებს,
მიწა სისხლშია, ვაზი გადახმა,
წვიმს ტყვია და ბავშვებს ატირებს.

შორს კიდევ, ქოხთან, კვნესის ჩინელი,
თვალს რომ ადგია სამშობლოს ცრემლი.
ავდარს აპირებს დრო საშინელი,
მაგრამ იმედად ელვარებს კრემლი.

კრემლის მხარეში ხალხს ელხინება,
ჰსურს ინეტაროს ბელადის მთაზე.
ქვევით მიღელავს მტკვარის დინება,
ისმის დუდუნი მდინარულ ხმაზე.

აქ ყველა ხარობს შვებით, გართობით,
ახალ ცხოვრების სიამე გვატკბობს,
ჩვენი დღეების ნამდვილ ვარდობით
ამ მთის ახალი სახელი გვათბობს.

მთაც ვარდებშია და მზე ბრწყინვალებს,
ისევ კაშკაშებს ბაღში ივლისი;
ერთად უმზერენ შორით მყინვარებს
დიდი სტალინის მთა და თბილისი.

# განახლებული ტფილისი

### პლ. კეშელავა

თბილისი გრანდიოზული აღმშენებლობის ხანაშია შესული.

ახალი ტფილისის კეთილმოწყობის დასაწყისად ზაჰესის ამუშავება უნდა მივიჩნიოთ: ვის არ ახსოვს ის სასიხარულო ისტორიული ღამე, როცა პირველად უჩვეულოდ გაანათა ზაჰესმა ტფილისი.

შემდეგ უდიდესი მოვლენა ქალაქის ცხოვრებაში იყო ნატახტარის წყაროს წყლის გამოყვანა.

მაგრამ სერიოზული, გეგმიანი, გრანდიოზული აღმშენებლობა გაჩნდა ტფილისში ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** სახელმძღვანელო მოხსენების შემდეგ (1933 წ). ამ მოხსენებაში ამხანაგ **ლავრენტი ბერიამ** სთქვა, რომ ტფილისი უნდა გადაიქცეს ნანიმუშო ქალაქად და გაამახვილა ყურადღება ქალაქის კეთილმოწყობის ყოველი დეტალისადმი. ამის შემდეგ ხუთი წელი არც კი გასულა და ტფილისმა უკვე იცვალა ფერი.

ტფილისი ძველის-ძველი ქალაქია. რამდენი სხვადასხვა სტილისა და ეპოქის ნაშთი აძნელებდა ამ საქმეს, მაგრამ საბოლოოდ ქალაქის რეკონსტრუქციას ხელს უწყობდა თვითონ საბჭოთა სისტემა: კერძო საკუთრების პირობებში შეუძლებელი იქნებოდა ისეთი ფართო ქუჩების გაყვანა ქალაქის ძველ ნაწილში, როგორსაც ტფილისი ელირსა. ასეთია ელბაქიძის დაღმართი, ყოფილი სომხის ბაზარი, სადგურის ქუჩა, სანაპირო ქუჩა, რომლისთვის საჭირო გახდა მადათოვის კუნძულის ვანთავისუფლება, და სხვა მრავალი.

ვის არ ახსოვს უხეირო, დანგრეული, სამარცხვინო ხის დუქნები ვერის დაღმართის თავზე, ქალაქის ცენტრში, ზემელის აფთიაქის პირდაპირ, რომლებსაც უგემურად ჰქონდათ წარწერილი „გემო" ან „ჩოხატაური"? ახლა იქ კოპწია ბაღია გაშენებული და მალე რუსთაველის ძეგლი იქნება ამართული. თვითონ ვერის დაღმართიც ხომ საზიზღარი იყო, მტვერის ბუღში გახვეული.

წინად ზაფხულობით ტფილისში შემოსვლა საშინელება იყო: სადგურშივე იგრძნობოდა მტვრით ვაჟღენთილი დამყაყებული ჰაერის სუნი და სულისშემხუთველი სიცხე. ახლა სადგურის შენობის ვეებერთელა დარბაზების კეთილანაგობა და მორთულობა თვალწარმტაცი სანახავია. იქვე სუფთა ასფალტირებულ მოედანზე ტაქსები, ავტობუსები, ეტლები და ტრამვაები ყოველგვარი რიგის გარეშე ყველა მიმართულებით ელოდებიან მგზავრებს.

მოედანიც გაფართოვდა. აქედან ჩელუსკინლების ხიდით და ლენინის ქუჩით რუსთაველის პროსპექტისაკენ ვავლა ხეივანში სეირნობაა და, როცა გადიხარ ამიერკავკასიის ფედერაციის ვეებერთელა გაშლილ მოედანზე, გრძნობ, რომ ძველ ტფილისს მზე და ჰაერი ჰკლებია, რწმუნდები, რომ ჩვენს დედა-ქალაქს დღის სინათლე, მზე და ჰაერი მოემატა.

ახალმა მოედანმა გაანათა ქალაქი, სხვა გემოვნება, სხვა საზომი მოიტანა, და არა თუ ძველი ტფილისის ქოხმახები, ორ-სამსართულიანი შენობებიც უკვე დარცხვენილი გამოიყურებიან: ამ ვეებერთელა მოედნის შესაფერი შენობები აქ უნდა აშენდეს. ამიერიდან ტფილისის აღმშენებლობას ეს მოედანი მისცემს ტონს არა მარტო ცენტრში.

კალიაევის დაყირავებული ვიწრო აღმართი გადაიქცა ფართო საამო სანახავ პროსპექტად, რომელიც შეიჭრა კახეთის მოედანზე და ფერი უცვალა მთელს ავლაბარს — „26" კომუნარების რაიონს.

დაინგრა მეტეხიც, ეს უსაშინელესი საფრთხობელა, და მის ადგილას აშენდება სოციალისტური კულტურის სასახლე. გაიწმინდება ქოხმახებისაგან ტფილისის იშვიათი ბუნებრივი სილამაზით შემკული უბანი, — მეტეხის მიდამო, ყველა დაინახავს, რომ მტკვარი მეტად ლამაზი ხვეულებით მიიკლაკნება იქ, სადაც წინად მრავალი გული დადნა ცრემლად, ხოლო დღეს მილიონთა გული ხარობს.

ტფილისის ზრდისა და კეთილმოწყობისათვის გეგმა ისეა შედგენილი, რომ არც ერთი უბანი აღარ შეიძლება ჩამორჩეს აღმშენებლობის საერთო მიმდინარეობას: უკვე დაგეგმილი და გაშენებულია ღრმა-ღელის დიდი პარკი დიდი ხეივნით, ვერის პარკი და კომკავშირელთა ხეივანი დღითი-დღე მშვენიერდება, ვეებერთელა სივრცეზე გადაიჭიმა სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი, გასაოცარი სისწრაფით ვითარდება დიდი **სტალინის** სახელობის სანაპირო ქუჩის მშენებლობა, მთავარი ქუჩები მოასფალტირებულია. აშენდა უზარმაზარი სტადიონი, უზარმაზარი შენობები წამოიჭიმა: ტფილისის ოპერის თეატრს უკვე ზევიდან დაჰყურებს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის შენობა. სამხედრო სობოროს ადგილას მთავრობის ვებერთელა შენობა აღიმართა, აქვეა კინო-თეატრის ახალი შენობა.

შენდება და ლამაზდება სრულიად ახალი უბნები: ვაკე, საბურთალო, ღრმა-ღელე, ჩქარა ნავთლუღი და ავჭალაც შემოუერთდებიან ტფილისს.

ტფილისი იზრდება არა მარტო როგორც საცხოვრებელი ქალაქი,— იგი უკვე გადაიქცა დიდი წარმოების ქალაქად. უდიდესი ყურადღება ექცევა ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობას, მათ კეთილმოწყობას, მუშების საცხოვრებელი ბინების აგებას, მოთხოვნილებაც გაიზარდა — ვუშინდელი დღე დღევანდელს აღარა ჰგავს.

უდიდესი ყურადღება ექცევა უკანასკნელ წლებში ქალაქის და მისი მიდამოების გამწვანებას. ტფილისს ლამაზად შემოესია აქოჩრილი ჭანდრები, ნაძვები, ალვის ხეები, ვარდები, ყვავილები. წინად ტფილისი მოკლებული იყო ბაღებს და ტყეებს. ძველი დროიდან მარტო ბოტანიკური ბაღი შერჩა ქალაქს, მაგრამ სილამაზით შემკული ეს ვებერთელა ბაღი ტფილისის პეიზაჟს თითქმის ვერაფერს მატებდა უმთავრესად ჩავარდნილი მდებარეობის გამო.

ძველი ტფილისის ერთად-ერთი სიამაყე — ფუნიკულიორი ხრიოკზე იყო გაშენებული, მაშინ მას ყურადღებას არ აქცევდნენ და უდაბნოს ჰგავდა, ახლა იქ უკვე თვალსაჩინო ტყე წამოიზარდა, გაჩნდა საჩრდილებელი ბაღები როგორც ქვემო, ისე ზემო სადგურების გარშემო.

ახლად აგებულ მაღალსვეტებიან მშვენიერ შენობას — ფუნიკულორის ზემო სადგურს, — ვეებერთელა, წარმტაცი ბაღი აკრავს. ყოველივე ამას ზედ დაჰყურებს საყვარელი ბელადის ქანდაკება.

კომკავშირული ხეივნის ვაშენება უსათუოდ კარვი მოფიქრებაა. ტფილისის ეს ბუნებრივი სილამაზე ხელოვნურად გამშვენებული უფრო მიმზიდველი გახდა: იგი დღისით, ქალაქს ახლად აქოჩრილი ნარგავებით და აბიბინებული ბალახით ამშვენებს, ხოლო ღამით ზღაპრული ციხე - გალავანივით ადგება ქალაქს ელნათურებით გაჩირაღდნებული. უბრალო გაფორმება, ბუნებრივი სილამაზის გამო, უდიდეს ეფექტს იძლევა: საიდანაც არ უნდა შეხედო ამ ხეივანს, იგი იშვიათი მიმზიდველობით არის სავსე. ღრმა-ღელის პარკიდან, ჩელუსკინლების ხიდიდან, რუსთაველის პროსპექტიდან, კალიაევის აღმართიდან, — ყოველი მხრიდან იგი მომხიბლავია, მაგრამ განსაკუთრებით გრანდიოზულია და რომანტიული ივი ღამით, როცა ამიერკავკასიის ფედერაციის მოედნიდან შეჰყურებ: აქ ზღაპარი სინამდვილეშია მოცემული.

ტფილისს აღარა აქვს ისეთი უბნები, სადაც სიცოცხლე არ დუღდეს. ტფილისი გამოიცვალა ყველა თავისი ნაწილით, თვალნათლივ ხედავ ამოძრავებულ, გამოცოცხლებულ ქალაქს, მის საზღაპრო ზრდას, თვალნათლივ ხედავ სოციალისტურ სამშობლოს კულტურულ და ეკონომიურ წარმატებას.



ფუნიკულორის ზემო სადგური

# ტფილისი თეთრი აივნიდან

### გრიგოლ აბაშიძე

დახედე ქალაქს, ვით ცისარტყელა,
წამოიფარე ჩრდილი სვეტების,
თვალში ჩაიდგი ციცინათელა
და მოიგონე წვიმის წვეთები.

წვიმის წვეთების სვეტები ცაზე,
ასფალტი შხეფით აფეთქებული
და ოქროს ბადე თევზებით სავსე—
ნახე ტფილისის ღამე ქებული.

დახედე წუთით და გაუშტერე,
თავზე ტფილისის ცა დაგხაროდეს,
დაალევინე თვალს კაუსერი,
რომ არ მოგწყურდეს აღარასოდეს.

ნახე ოცნების თეთრი კუნძული,
ჭმანება უცხო და ახლობელი,
უსმინე ტყეს და სხეულს ჩურჩული —
კოჯრის ნიავის სამადლობელი.

და გაიხარე, რომ დედა გყავდა,
რომ გახდი ღირსი ამ ცისქვეშეთის,
ყოველი სვეტი ადარე ჭადარს
და სვეტებს იქით წამით შეჩერდი.

დახედე მთიებს, ენთოს მზისდარი,
ჰქონდეთ ჟიკჟიკი და ჟრიამული...
ტფილისი — წიგნი დევს ოპიზარის,
თეთრი სვეტების ყდაში ჩასმული.

ჩვენც ამ წიგნიდან პწკრებში ვენთებით,
ჩვენც უკვდავების წვეთი გვეპკურა,
წამოდექ წინ და თეთრი სვეტების
ჩარჩოში შედი ფრესკისებურად.

და უზარმაზარ ბრძოლის მზაძავი
ნახე ხეობა მრავალ-სართული;
ტფილისი ვრცელი გოგჩის ტბასავით,
ციდან ვარსკვლავებ გადახატული.

ამაღლებულა ანაზდეული,
შუბლი მიუდგამს ცაზე მთებურად,
სტალინის აზრით განათებული
ბერიას ხელით აშენებულა.

მან ნახა მზე და ახალგაზრდობა,
შებერებულმა მტკვართან ერთგულად,
ტფილისს სტალინი ადგას მნათობად
და მისი შუქით განათებულა.

და ბედნიერი ბედით ამგვარით
განახლებული მოდის ქართველი,
მოაქვს ტფილისი მკვდრეთით ამდგარი
და შადრევნების კორიანტელი.

დახედე ტფილისს—ნახე სიზმარი,
ნახე ქალაქი თალითზღაპრულით,
ტფილისი — წიგნი დევს ოპიზარის,
თეთრი სვეტების ყდაში ჩასმული.



ჩელუსკინელთა სახელობის ხიდი

ნახ. კიკნაძისა

# ახალი ტფილისის პოეზია

### ბესო ჟღენტი

ტფილისი ყოველთვის პოეტური შთაგონების საგანს შეადგენდა. ტფილისთან, საქართველოს სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ცხოვრების ამ მგზნებარე გულთან, მისი კულტურული შემოქმედების ამ ჩაუქრობელ კერასთან, ღრმად არის დაკავშირებული ქართული მხატვრული სიტყვის მთელი მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

ყოველი ეპოქის ქართული მწერლობა ტფილისის ფონზე ძერწავდა ქართველი ხალხის ცხოვრების ამსახველ სურათებს. საკმარისია გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიიდან.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა საქართველოს სახელმწიფოებრივი კატასტროფის ამსახველ პოემაში „ბედი ქართლისა" მტრის მიერ გაპარტახებული ტფილისის ცხოველი სურათი დახატა, რათა უსწორო ბრძოლებით წელში გატეხილი და დაუძლურებული საქართველოს მკაფიო პოეტური ანარეკლი მოეცა. მთაწმინდისა და მტკვრის რომანტიული პეიზაჟის ფონზე აყალიბებდა იგი თავისი უსაზღვრო სევდით და მღელვარებით შთაგონებულ ლექსებს.

ილია ჭავჭავაძემ თავისი თანამედროვე საზოგადოებრივი ვითარების მამხილებელი მძაფრი პოეტური ქმნილებებისათვის („მუშა", „აჩრდილი") ტფილისის სინამდვილიდან აიღო ტიპიური ეპიზოდები. ხოლო აკაკი წერეთელმა ტფილისის ბუნების მეტყველება დაუდო საფუძვლად თავის „განთიადს", ამ შთაგონებულ პატრიოტულ ჰიმნს, მე-19 საუკუნის ქართული ლექსის ამ ჭეშმარიტ შედევრს.

ბუნებრივია, რომ თანამედროვე ქართული პოეზიაც ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და აყვავების პოეტურ სურათებს სოციალისტურ საქართველოს დედა-ქალაქის, განახლებული ტფილისის ქარგაზე ხატავს.

თბილისში განსაკუთრებულის ძალით იგრძნობა სოციალისტური საქართველოს მშენებლობის ტემპი და გაქანება, თავისუფალი და ბედნიერი ქართველი მშრომელი ხალხის შემოქმედებითი გმირობა და პათოსი, ახალი, მზიური ცხოვრების ძლევამოსილი წინსვლელობა.

ახალი ტფილისი თავისი ინდუსტრიული გიგანტებით ახლად აგებული მოედნებით და ბაღებით, გაფართოებული, ასფალტირებული ქუჩებით, წარმტაცი სანაპირო ხეივნებით, ახალი მრავალსართულიანი შენობებით მთელი საქართველოს განახლებისა და აყვავების მეტყველი პანორამაა, რომლის ყოველი შტრიხი ცხოვლად გვაგრძნობინებს დიდი სტალინური ეპოქის ძალას და სიბრძნეს.

აქტომაც თანამედროვე ქართული პოეზია შთაგონებულად უმღერის განახლებულ, სახეშეცვლილ ტფილისს, პატრიოტული გრძნობით გამსჭვალულ ლექსებში ხატავს მისი ზრდისა და აყვავების მთელს მრავალფეროვნებას.

ამ ათიოდე წლის წინათ თბილისის ეგზოტიური ელფერით მოჯადოებულმა პოეტმა ი. გრიშაშვილმა წრფელი სამგლოვიარო ჰიმნი უმღერა პრიმიტივისა და აზიური პირველყოფილობის სტიქიას საქართველოს დედა-ქალაქში. მის ლექსში—„დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს" მწვავედ არის განცდილი აღმოსავლური ფანტასტიკის ქალაქის რღვევა ახალი, ინდუსტრიული, კულტურული და პროგრესიული ელემენტის ძლევამოსილებით.

„ღვინოს საფლავზე არვინ მიგიტანს,
ჩამოიხია ბაღდადის ფოჩი, —
ეხ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს
თავის დუქანთან მიმბულის ყოჩით?"
დუდუკის ნაცვლად — ქარხნის საყვირი,
დუმბი და ზილი დახშო რკინამ,
ბულბულს—ყაფაზა, გრძნობას—აღვირი
აღარც დუდუკი... აღარც ყიჟინა".

ეგზოტიკურ-აღმოსავლური თბილისის ამ რომანტიულ დატირებას მაშინ კომკავშირელმა პოეტმა ალიო მაშაშვილმა დაუპირისპირა საქართველოს დედა-ქალაქის ინდუსტრიულ აღმავლობისათვის მიძღვნილი აღფრთოვანებული სტრიქონები. მის მძაფრად პოლემიკურ ნაწარმოებში „მე და ბარათაშვილი" თბილისის განახლების პოეტური აპოლოგიაა მოცემული:

„დღე იბურება კვამლის ნახშირით,
ცა-საბჯრეველი იწვის, ინთება
და ფრინველივით ნისლი გაშლილი
მთებიდან მთებზე გადაფრინდება,..
. . . . . . . .
აგერ ყვირილით ამორბის ბოლი,
ზაჰეს ენთება ურიცხვ ვარსკვლავად
და აკანკალდა ფუნიკულორიც,
ვით ავარდნილი ცაში მაშხალა".

თბილისის ცხოვრებაში ძველისა და ახალის, პრიმიტიული აღმოსავლურისა და ინდუსტრიულ-პროგრესიულის შეჯახების პირველი პერიოდი ბადებდა ამგვარ პოეტურ პოლემიკას, რომელშიაც გამოხატულებას პოულობდა იმხანად ჩვენს ლიტერატურაში წარმოებული იდეური ბრძოლა.

სოციალისტური მშენებლობის შემდგომმა წარმატებამ განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მანძილზე მოპოვებულმა გამარჯვებებმა, რომლებიც ასე მკაფიოდ და ცხოვლად გამოსჩანს დღევანდელი თბილისის ფონზე, ერთსულოვანი აღფრთოვანებით აამეტყველა ქართული ლექსის თანამედროვე ოსტატთა მთელი კოლექტივის შემოქმედება.

ქართველი საბჭოთა პოეტი ხატავს სოციალისტური საქართველოს დედაქალაქის დღევანდელ სახეს, როგორც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ფუძეზე აღმართულ გიგანტს ახალი ცხოვრებისას, განათებულს დიდი **სტალინის** გენიით:

„აჰხვეტია ნგრევის მტვერი
ბნელს ჩაკირულ პირველ დუქს
და ანათებს მზის ჩანჩქერი
ისტორიის ყვითელ ფურცლებს.
სხივი მოდის ოქროს წვეთად
და სინათლე სივრცეს ეძებს,
დგას სტალინი ნათელ სვეტად
განახლებულ ქართლის ბჭეზე"
(ალ. აბაშელი)

როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველი წარმატება, ორდენოსანი საქართველოს დედა-ქალაქის აყვავებაც საბჭოთა პოეტის ცნობიერებაში განსხვავებულია როგორც დიდი **სტალინის** გენიით შთაგონებული გამარჯვება. ამიტომაც ახალი თბილისისათვის მიძღვნილი ლექსები ღრმად არის გამსჭვალული ხალხთა ბელადისადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით.

პოეტმა სანდრო ეულმა ახალი თბილისის პოეტური ანარეკლი მოგვცა ისეთი დიდი მოვლენისათვის მიძღვნილ ლექსში, როგორიც იყო ამხანაგი **სტალინის** ჩამოსვლა თბილისში.

უმაღლეს საბჭოს საარჩევნო დღეების ზეიმით განათებული თბილისის სურათს პოეტი დავით გაჩეჩილაძე ხატავს მშობლიური სტალინის მონუმენტალურ სახესთან დაკავშირებულად:

„არხევს ნიავი დროშების ანძებს,
ვარდის ფერია ჩემს ფანჯარაში,
ვხედავ მშობლიურ ტფილისის თავზე
დადგა ბელადი რუხი ფარაჯით.
ვხედავ და მიყვარს თოვლის ფანტელიც,
როცა ეხება ფარაჯის კალთებს,
ის ჩვენი ქვეყნის არის ნათელი
და ჩაუქრობელ იმედით გვანთებს".

ამავე მოტივით იხსნება ალ. ქუთათელის ლექსი, მიძღვნილი სტალინური კონსტიტუციის ტრიუმფის დიადი ისტორიული დღეებისათვის:

„ტფილისის ზეცა გარიჟრაჟით არის
გართული,
და ყველა მთაზე უმაღლესი, სახით
მწყაზარით,
დედამიწაზე მიაბიჯებს ზეაღმართული
საბჭოთა ქვეყნის დეპუტატი რუხი
მაზარით".

მრავალფეროვანი საღებავებით, სხვადასხვა გვარი კუთხით ხატავენ თანამედროვე ქართველი პოეტები განახლებულ თბილისს.

გ. ლეონიძემ შექმნა ლექსების ციკლი — „თბილისის განთიადები", რომელშიც მოგვცა თბილისის ლანდშაფტის კოლორიტული სურათი. ამ ფონზე დახატა მან საზეიმოდ მოსული პიონერული თაობის ყიჟინით მოფენილი, ამომავალი მზის სხივებით მორწყული თბილისის გული — ახალი მოედანი.

ლექსების მთელ ციკლში განასახიერა სიმონ ჩიქოვანმა თბილისის ახალი პეიზაჟი. მის ლექსებში მკაფიოდ გამოსჩანს საბჭოთა ხალხის გმირული ხელით გარდაქმნილი დედა-ქალაქის ელვარე ქუჩები და მოედნები. ქვის არტახებში გაწოლილი მტკვარი და მთელი ეს პანორამა პოეტის მიერ გააზრებულია ისტორიული პერსპექტივის თვალთახედვით.

სანაპირო ქუჩას, როგორც ჩვენი ხალხის შრომითი გმირობის ერთ-ერთ საამაყო შედეგს, ლექსი მიუძღვნა გ. კაჭახიძემ. მანვე ლექსში „მშობლიური თბილისი" ცხოვლად გამოხატა ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობის სიხარულის განცდა თავისი აყვავებული დედა-ქალაქის მიმართ:

„როგორც სიყვარულს, სივრცეს
განიცდი,
გხიბლავს სიო და გხიბლავს ხის ჩეროც,
გინდა იფრინო, მაგრამ არ იცი,
თვალი ქალაქში სად შეაჩერო.
გუნდად ფიქრები თავისუფალი
ფრინველებივით სად არ მიდიან,
ყოველი კუთხე, ყველა უბანი
ისე დამშვენდა, ისე დიდია".

ამგვარივე აღფრთოვანებული და სასიხარულო განცდით არის გამსჭვალული ირაკლი აბაშიძის ლექსი — „ყვავილები ქალაქში".

„გზებში ყვავილი და კარგი ვარდი,
აპრელებული ასფრად კედელი,
მტკვარის ნაპირზე ზის დარდიმანდი
და რგავს ვარაყებს ოქრომჭედელი".

კალე ბობოხიძე თავის ერთ-ერთ ლექსში ისწრაფვის ასახოს ახალ თბილისში დამკვიდრებული ინდუსტრიული ტემპისა და წარმტაცი ბუნების მთლიანი სურათი:

„დიდ ინდუსტრიით ჰყვავის ქალაქი,
ახალ გიგანტებს სიმწვანე იცავს,
არის მდიდარი შრომის ბარაქით
სოციალისტურ სამშობლოს მიწა.
მთიდან უბერავს ნიავი ცივი,
ბაღნარში ისმის ფოთლების ტაში
და სვეტებიდან მომწყდარი სხივი
ოქროს ჯაჭვივით ეშვება მტკვარში".

თავისი ქვეყნის სიდიადისა და ძლევამოსილების სურათის შესაქმნელად პოეტი სოლომონ თავაძე კომკავშირის ხეივნიდან, განახლებული თბილისის ამ ერთ-ერთ შესანიშნავ კუთხიდან გასცქერის ჩვენი სამშობლოს აყვავებულ სივრცეებს:

„მე ამ დილით კომკავშირის ხეივნისკენ
ავირბინე,
მივაშურე ახალ ნერგებს, მზის ღიმილში
მობიბინეს,
თვალი ვჭკიდე კავკასიონს, მზის იერში
მოელვარეს,
და სალამი გადავძახე დიდ სამშობლოს
ყოველ მხარეს".

პოეტებმა კარლო კალაძემ, გიორგი ქუჩიშვილმა და ვარლამ ჟურულმა მთელ რიგ ლექსებში ასახეს საქართველოს საამაყო დედა-ქალაქის დღევანდელი სახე.

ქართულ პოეზიაში განახლებული ტფილისის მხატვრობა ორგანიულად დაკავშირებულია მისი მრავალსაუკუნოვანი წარსულის ამსახველ სურათებთან. პოეტები მძაფრ კონტრასტულ ფერებში აღადგენენ ყოველი ჯურის დამპყრობელთა მიერ ტფილისის გაპარტახებისა და განადგურების ისტორიულ ეპიზოდებს, რათა მათს ფონზე უფრო მძლავრად გვაგრძნობინონ დღევანდელი ტფილისის სიდიადე და მომხიბვლელობა.

მთელ რიგ ლექსებში პოეტები ასახავენ ტფილისს, როგორც ქართველი ხალხის რევოლუციური მოძრაობის კერას, სადაც დაწერილია ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის მრავალი უბრწყინვალესი ფურცელი. ამგვარ ისტორიულ ექსკურსს შეიცავს პოეტ ვასო გორგაძის ლექსი „ტფილისი", რომელიც მთავრდება ახალი ტფილისისათვის და მასში დამკვიდრებული ახალი ცხოვრების, ახალი ადამიანის ზრდისათვის მიძღვნილი ჰიმნით:

„გარს შემოავლე გრანიტის ჩარჩო,
ბეტონის ღარზე გაუშვი მტკვარი;
ჩემ ქვეყნის წინსვლას მუდამ ვდარაჯობ
რევოლუციის ალით გამთბარი.
„ვხედავ:.. მაღლდება შენი კედელი
იზრდები ძლიერ ხალასიანად
და შენთან ერთად მეც ვიჭედები
ახალი ქვეყნის ადამიანად".

ახალი ტფილისის თემაზე შექმნილ მთელ პოეტურ მასალაში მკაფიოდ არის ხაზგასმული **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელი როლი ჩვენი სამშობლოს აღორძინებისა და კერძოდ ტფილისის გარდაქმნა - განახლების საქმეში. პოეტი ს. ფაშალიშვილი მიმართავს ტფილისს:

„გამკობს ცის მოვარსკვლავება,
გათბობს მზის სხივი უჩვევი,
ახალ დევგმირის მკლავებმა
გასწია შენი ქუჩები".

ტფილისის განახლებისა და მისი აღმშენებლობის მთელს ეპოპეას ქართული საბჭოთა პოეზია მჭიდროდ უკავშირებს ქართველი ხალხის საყვარელი ხელმძღვანელის, გამობრძმედილი სტალინელის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას სახელს**. მისი დაუცხრომელი ენერგია და შეუნელებელი მზურნველობა ორდენოსან საქართველოს დედა-ქალაქის მიმართ ცხოვლადაა გამოხატული ახალი ტფილისის თემაზე შექმნილ თითქმის ყოველ ლექსში. განსაკუთრებული ძალით გამოხატა ეს აზრი პოეტმა ილო მოსაშვილმა იმ სტრიქონებში, რომლებიც მან ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მიუძღვნა:

„მივა შორეულ მწყემსის ბინაში,
მზრუნველი გულით მოივლის ფარეხს,
მერე მოჭედილს ქვაში, რკინაში
ფრთხილად გააღებს ტფილისის კარებს.
დახედოს ქალაქს, ფხიზელი თვალით
გადაანათოს ქედიდან ქედებს,
რომ დაინახოს მშენებლის კვალი
თვითეულ ქუჩას, სახლსა და კედელს,
დახედოს ქალაქს, დადგას ზვინებათ
შრომის დოვლათი, უხვი და მყარი,
და მის ზრდასა და აღორძინებას
დედაბოძივით შეუდგას მხარი".

ჩვენ აქ შევეხეთ ახალ ტფილისისათვის მიძღვნილ მხოლოდ პოეტურ შემოქმედებას და ისიც ნაწილობრივ. საბჭოთა ქართულ მხატვრულ პროზაში ჰპოვა თავისი გამოხატულება ტფილისის აღორძინებისა და განახლების ეპოპეამ, თუმცა უფრო მკრთალად ვიდრე პოეზიაში.

ყოველი ახალი მიღწევა და გამარჯვება ჩვენი დედა-ქალაქის მშენებლობის საქმეში იწვევს ახალ შემოქმედებითს გამოხმაურებას ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

უკვე დრო არის ქართულმა მწერლობამ შექმნას ერთი დიდი კოლექტიური წიგნი, მიძღვნილი ორდენოსანი საქართველოს აყვავებულ დედაქალაქისათვის.

ეს უნდა იყოს მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ძეგლი, მიძღვნილი იმ გმირული შრომისათვის, რომელმაც წინად პრიმიტიული, აზიური ქალაქი ტფილისი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ერთ-ერთ საუცხოვო დედა-ქალაქად გადააქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტალინის ქანდაკებასთან თქმული სიმღერა

## ალექსანდრე ქუთათელი

ლიხის მთიდან მოჭრის ქარი
უჩინარი ძალის მცველი,
გადიარა ტაშის კარი,
ქვიშხეთი და ქართლის ველი.
უღელტეხილს კარი მოხსნა.
ღვართქაფებით მოსდევს მტკვარი
უდგრომელი ძალა მოსავს
უჩინარათ მუხლზე მდგარი.
ანცი ქარით აშრიალდა
არშიები, ხეთა კაბა,
ზეაშალა მწვანე კალთა,
მერე შეხვდა მთაში დაბა.
გორში არხევს ალვა-საროს,
ტოტებგაშლილ მაღალ იფნებს,
ხან მწვერვალზე აბეზარობს,
ხან ფრთებს ცაში შემოიქნევს.
აცახცახდა ცაცხვი, ვერხვი,
მთა — დავითის მწვანე ჯაგი
და დავადგი მიწას ფეხი,
მთას ქარივით მე მაჯაგი.
მთიდან მოსჩანს ქართლის ველი,
ავჭალისა და დიღომის,
ველი ბრძოლით განაქელი,
საკაძის დიდი ომით.
მიცქერს ხევი, ფიქრის გორა,
გადავხედე ვარდისუბანს.
მტკვარს უბნები განეშორა,
ორთაჭალის ბაღს პირს უბანს.
შემოერტყა მეტეხს ქარი,
კალოუბანს დაიხარა,
სადაც მტკვარი მორბის ზარით
და გუგუნებს ნარიყალა.
მთა — მახათა, ჩულურეთი
ესალმება მამადავითს.
მაღლობიდან ვუყურებდი, —
დგას საყდარი მაღალ თავით.
აქ ილია და აკაკი
წევს საფლავში ვაჟან ახლო,
რომ შეგეძლოს ლაპარაკი,
დიდებულო ქართლის სახლო,
ბევრად უკეთ უგალობდი
განახლებულ საქართველოს.
თავს გადგია დუღაბითა
შენ სასახლე სასახელო.
რა წარმტაცად აღმართულა
სვეტების ტყე — მარმარილო,
ქვათა მძივი — ამართულა
ჩუქურთმებით ჩაკვარკნილი.
დასცქერიან მტკვარის შტოებს
აივნები მთიდან ქალაქს.
საცქერელად ვერსად შპოებს
უკეთესსა კაცი ალაგს.
ძველთან არ ღირს შეჯიბრება,
მასთან რაც კი მოშთობილა.
ერთის ნაცვლად ახი დგება
იქ სასახლე აწ შობილი.

ქუჩა ახალ ქუჩას ერთვის,
მიკვირს მათი წარმოშობა.
კახეთის და იმერეთის
ქვით თბილისმა იწყო მკობა.
დღედღე ამკობს მას ბერია
მშენებელი, მხნე, მამაცი.
იმის სახელს იმღერიან
მუშა, გლეხი, ქალი-კაცი.
შემოავლო ქალაქს ბაღი,
შენობები რკინა-ქვისა.
მოდუდუნე მტკვარი ლაღი
ქვაში ჩასვა ბოლნისისა.
კაცად დასვა მან ჩობანი,
მანვე ზარდა მეცნიერი
და მეც ვინმე ხელოვანი
ალტაცებით ასე ვმღერი:
ლიხის მთიდან მოჭრის ქარი
უჩინარი ძალის მცველი,
გადიარა ტაშისკარი,
ქვიშხეთი და ქართლის ველი.
ლამის-ყანა არ იკმარა,
გადუარა ჩვენს იალალს,
ტფილისზედან გადმომდგარი
მოწმენდილი ცა კრიალა.
კავკასიდან გადავხედე,
აღმოსავლეთს მოვკარ თვალი,
რა შორი გზა ჰქონდათ ხეთებს,
არ გამქრალა მათი კვალი!
ვსთქვი და ისევ მოჭრის ქარი,
მეტეხისკენ გადიხარა,
სადაც მტკვარი მორბის ზარით
და გუგუნებს ნარიყალა.
აშუშუნდა ვერის ხიდზე,
აშრიალდა ხე, თაველი,
გამაგონა ერთხელ კიდევ
სიტყვა ბრძენი რუსთაველის.
ბრძენს ხელთ ეპყრა მოწიწებით
თვისი „ვეფხის ტყაოსანი",
გარს ვარტყივართ წიწილებს
და გვასწავლის კვლავ მგოსანი:
ვით შევამკოთ მისი ნიჭი
ვინც ქვეყანა გაამდიდრა,
კაცს კაცობა მიანიჭა,
ერს ერობა დაუმკვიდრა,
ან ის კაცი როგორ ვაქოთ,
მასთან ძმურად შეფიცული,
ვინაც ჩვენში უხვად დარგო
მისი საქმე ეგზომ ბრძნული.
სთქვა და არხევს ქარი საროს,
ტოტებგაშლილ მაღალ იფნებს,
ხან მწვერვალზე აბეზარობს,
ხან ფრთებს ცაში შემოიქნევს.
იჩქარიან აღმოსავლეთს
ხეხილები და ღრუბლები.
ტოტებს ტოტი წამოავლებ,
შრიალებენ ალუბლები.

# რევოლუციის დიდი პოეტი

## (ვ. მაიაკოვსკის დაბადებიდან 45 წლის შესრულების გამო)

ვ. მაიაკოვსკიმ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა ფუტურისტების რიგებში დაიწყო. რუსული ფუტურიზმი, რომელიც წარმოიშვა როგორც მიმართულება სიმბოლიზმის წინააღმდეგ, აერთიანებდა ამ ლიტერატურული „ბუნტის" სხვადასხვანაირ წარმომადგენლებს, რომელთა გზები მალე გაიყო და რომელთა დიდ უმრავლესობასაც, ვ. ხლებნიკოვის გარდა, არავითარი შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია რუსული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. ერთად-ერთი მაიაკოვსკი გახდა შემდეგში რევოლუციის დიდი პოეტი, რომელმაც ადრევე, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით უარჰყო ის, რასაც ამტკიცებდნენ მისი ფუტურისტი მეგობრები თეორიაში.

ფუტურისტული მიმართულება არ იყო რევოლუციური მიმართულება ლიტერატურაში. თავიანთ შემოქმედებითს პრინციპებს ფუტურისტები აყალიბებდნენ და ანვითარებდნენ უაღრესად ფორმალისტურ ფორმულებში. პირველ ხანებში თითქოს ამ გზას მიჰყვებოდა მაიაკოვსკიც (გავიხსენოთ მისი „დილა", „ქუჩიდან ქუჩამდე"). მაგრამ ფორმალისტურ ექსპერიმენტალობას არ შეეძლო დიდხანს გაეტაცნა იგი. ახალი რიტმისა და რითმის, ახალი სტროფიული შენების ცდას, სიტყვიერი მასალის დემოკრატიზაცია და გამდიდრება,—მთელი ეს ფორმალური ნოვატორობა, რამაც ხელი შეუწყო ახალი რუსული პოეზიის ტექნიკის განვითარებას, ორგანიულად ერწყმის მაიაკოვსკის შემდეგ-დროინდელ პოეზიაში დიდ შინაარს, იდეებსა და თემებს, რომლებიც მკვეთრად იყო მიმართული ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული ლიტერატურის წინააღმდეგ.

სიძულვილი ბურჟუაზიული წყობილებისადმი, ბურჟუაზიულ-მეშჩანური კერძო-მესაკუთრული ცხოვრების წესებისადმი ამოძრავებს მაიაკოვსკის, და ეს ძირითადია მის შემოქმედებაში. ობიექტურად მისი პოეტური ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლას ეხმაურებოდა. მაგრამ იმ წლებში მაიაკოვსკი დაშორებული იყო პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას. ის ვერ ხედავდა, რომ მხოლოდ მუშათა კლასი წარმოადგენდა ერთად-ერთ ნამდვილ საზოგადოებრივ ძალას, რომელსაც შეეძლო კაპიტალიზმის დამხობა.

თავის ადრინდელ ნაწარმოებებში მაიაკოვსკი უმთავრესად მიმართავს ქალაქის დაბალ ფენებს, იმ წრეებს, რომლებიც ყველაზე ნაკლებად დაეხმარებოდნენ მას კაპიტალისტური წყობილებიდან გამოსასვლელი გზის ძიებაში. აქედან—ტრაგიკული ხმა, განმარტოების გრძნობა რევოლუციამდელ მაიაკოვსკის შემოქმედებაში.

მაგრამ ეს ხმა და ეს გრძნობა არ იყო მთავარი მაიაკოვსკის პოეზიაში. მისთვის ძირითად და ყველაზე მნიშვნელოვან პოეტურ თემას წარმოადგენდა კაპიტალიზმის საზიზღრობათა მხილება, ბრძოლა მათ წინააღმდეგ. სწორედ აქ მჟღავნდებოდა ის დადებითი ტენდენციები, რომელთაც შემდეგში მაიაკოვსკი მუშათა კლასთან მიიყვანეს. სწორედ ეს ბრძოლა ადამიანისათვის და მხატვრული მხილება ბურჟუაზიული წყობილებისა, კერძო-მესაკუთრული მორალისა და წესებისა შეადგენს შინაარს მისი ტრაგედიის „ვლადიმერ მაიაკოვსკი", მისი პოემების — „ომი და მსოფლიო", „ღრუბელი შარვალში" და სხვებისა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში, გარდა მაქსიმ გორკისა, რუსულ ლიტერატურაში არც ერთ მწერალს არ უწარმოებია ისეთი გაბედული ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, კერძო-მესაკუთრული ინსტიქტების წინააღმდეგ, როგორიც მაიაკოვსკის შემოქმედებაშია მოცემული.

იმპერიალისტურმა ომმა უფრო მეტად გაამახვილა მაიაკოვსკის სიძულვილი კაპიტალისტური წყობილებისადმი. მაიაკოვსკის უდიდეს დამსახურებად რუსული ლიტერატურის წინაშე სამუდამოდ დარჩება მისი ლექსები და პოემები, რომლებშიაც დაგმობილია კაპიტალიზმის მიერ მოწყობილი ხალხთა სასაკლაო. ამ ომის ყაჩაღური ხასიათი მაიაკოვსკისათვის თავიდანვე ცხადი იყო. იგი ამ ომს შეხვდა მძაფრი სიძულვილის გამომხატველი ლექსებითა და პოემებით.



მეშჩანების საზიზღარ ქვეყანას მაიაკოვსკი უპირისპირებს თავის ოცნებას ახალ ადამიანზე, რომელიც ძლიერი, ლამაზი, კეთილი და ვაჟკაცი იქნება. ასეთ ადამიანს იგი ჰიმნს უძღვნის. აქედან—ჰუმანიზმის იდეა მაიაკოვსკის ლექსებსა და პოემებში.

პროლეტარულმა რევოლუციამ ფართო ასპარეზი გადაუშალა მაიაკოვსკის. რევოლუციამ გაანთავისუფლა მისი შემოქმედებითი შეგნება იმ ზოგიერთ წინააღმდეგობისაგან, რომლის გადაწყვეტაც მას შეუძლებლად მიაჩნდა წინად. და რადგან რევოლუციამ გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა იმ წყობილების წინააღმდეგ, რომლის მიმართაც მაიაკოვსკი მტრულად იყო განწყობილი, მისთვის ძნელი აღარ იყო, თავიდანვე ორგანიულად შეერთებოდა ძველი ქვეყნის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს.

რევოლუციამ შესცვალა მაიაკოვსკის პოეზიის ძირითადი ტონი. მისი პოეტური იარაღი ახალი ბრძოლებისათვის ილესება. მაიაკოვსკი იმჭვალება რევოლუციური ოპტიმიზმით. იგი ზერელედ არ მისულა რევოლუციასთან, იგი ორგანიულად შეერწყა მას. ხალხთან ერთად მაიაკოვსკიმ დიდი მხატვრის მთელი გულით, გრძნობით, შემეცნებით, რომელიც მხოლოდ მომავლისაკენ იცქირება, იგრძნო, რომ ბოლშევიკური პარტია მთელი მოწინავე კაცობრიობის საქმეს აკეთებს.

სამოქალაქო ომის წლებში მაიაკოვსკი პირდაპირ განუზომელ შუშაობას და პოეტურ საქმიანობას ეწევა. იგი პოეტიც არის, მხატვარიც, პლაკატისტიც და სხვ. მისი საავიტაციო ლექსები ყველგან ვრცელდება, ყველგან მასებში მათ რევოლუციური შეგნება შეაქვთ. ამ ხანებშივე დასწერა მან „150.000.000", „მისტერია ბუფ" და სხვ.

მაიაკოვსკის შემოქმედებითი მოღვაწეობა უფრო მეტის ბრწყინვალებით გაიშალა და განვითარდა სამოქალაქო ომის გათავების შემდეგ. ბრძოლა სოციალისტური მშენებლობისათვის, ბრძოლა რევოლუციის მტრების წინააღმდეგ ხდება მისი შემოქმედების მთავარ თემად ამ პერიოდში. იგი სწერს თავის საუკეთესო პოემებს—„ლენინ"-ს და „კარგიას"-ს.

ტრაგიკული დაღუპვის წინ მაიაკოვსკიმ დასწერა შესავალი პოემისა „მთელი ხმით". ამ ნაწყვეტში მაიაკოვსკი თითქოს აჯამებდა თავის მხატვრულ გზას. იგი ამბობს, რომ პოეზია ძლიერი იარაღია სოციალიზმისათვის ბრძოლაში. მთელი თავისი სიძლიერით მოსჩანს პოემის ამ შესავალში პოეტი-აგიტატორი, პოეტი, რომელიც „მობილიზებული და მოწოდებულია რევოლუციისაგან".

„წმინდა ხელოვნების" დამცველები მაიაკოვსკის საყვედურით მიმართავდნენ იმის შესახებ, რომ თითქოს იგი „წვრილმანებზე ხურდავდებოდა", ამცირებდა თავის ნიჭს „ყოველდღიურობაზე" გამოხმაურებით. მაგრამ სწორედ თემის კონკრეტულობა აძლევდა მაიაკოვსკის ახალ ძალას. ყოველი თემა, რომელსაც კი ეხებოდა მაიაკოვსკი, იგი უკავშირებდა კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლის საერთო ამოცანებს. მაიაკოვსკი ყველაფერზე ფიქრობდა, დაწყებული სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საკითხებით, მისი თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებით, საერთაშორისო პრობლემებით, და გათავებული ვიწრო ყოფა-ცხოვრებითი საკითხებით. მაიაკოვსკის ყველგან შეჰქონდა ცოცხალი, შემოქმედებითი სიტყვები და ხელს უწყობდა ბოლშევიკური ლოზუნგების გავრცელებას.

მაიაკოვსკი საზოგადოებრივი ბრძოლის აქტიური მონაწილე იყო, ცხოვრების სიღრმეში შესული ადამიანი, რომელიც არა მარტო უმღეროდა სოციალიზმს, არამედ მისთვის თავდადებითაც იბრძოდა. სწორედ ამან მაიაკოვსკის ნიჭს საშუალება მისცა მთელი სიძლიერით განვითარებულიყო და გამხდარიყო ჩვენი საბჭოთა ეპოქის „საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტი" (სტალინი).

მაიაკოვსკი მასებისათვის წარმოადგენს საყვარელ პოეტს, რომელიც თავისი შემოქმედებით აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სოციალიზმის შენების საქმეში, რომელიც დაუნდობლად ებრძვის ხალხის მტრებს.

**შ. რადიანი**

# ამღერებული ბუნება

## შალვა აფხაიძე

მოგესალმები, მთაწმინდავ, თაღებშეკრულო ლაჟვარდებო:
გულს მისვენია შენი ცა, კლდეები ქარაფოვანი,
შენი მთოვარე, ვარსკვლავი, შენი ნიავის ნავარდი,
მწვანე კალთების მხატვარი — მტკვარი ტალღებით ხმოვანი.

ჰა, შენთან ვარ, შენსავით გაჩაღებული, ფრთიანი.
შეგცქერი, მაგრამ ველარ გცნობ: გამოცვლილი ხარ ამგვარად.
ოცნება მრავალნაცადი, ჩვენი ცხოვრება მზიანი,
მშვენება თითონ ტყექმნილი აქ უკვდავ ძეგლად დამდგარა.

ჰა, შენთან ვარ, ვზეიმობ, მოფარდაგულო ბაღჩებით,
შენთან ხალისი ვიცანი და მწუხრიც გარდამავალი,
როგორც სურათი ეპოქის, ბრწყინვალედ მარად დარჩები.
მომფინე სულის სიმშვიდე, სიამე მრავლად მრავალი.

ჰა, შენთან ვარ და მინდა, მუხლზე დავეცე მთრთოლვარე,
ყოველ ყვავილს და ყოველ ხეს ჩამოუკოცნო თან ფესვი,
რადგან მათში ვმზერ, ვით ლვის ბელადის აზრი მგზნებარე,
რადგან ბელადმა შეგვიქნა ცხოვრება ჩვენ უტურფესი.

O

მთაწმინდაზე ვარ. ღამეა. შორით სივრცეებს გავცქერი.
ცამ ნისლი ჩამოიბერტყა, ველი წალკოტმა დაფარა.
გული დიაა, ისმება შიგ სავსე მთვარის ჩანჩქერი,
ფიქრი ხალისით დაფრინავს ჩემი სამშობლოს მთაბარად.

მსურს შენთან ვიყო და უბით მე შენი მიწა ვატარო,
რადგანაც ტრფობა შენდამი უფრორე მომკიდებია,
რადგან სიცოცხლე იფრქვევა ლურჯ სივრცეს აქ სანეტარო,
ხეივნები და ყვავილნი ვით მეგობრები მხვდებიან.

მინდა ველოდო შენს თავზე ცის კალთის შემობრუნებას,
მთვარის შადრევნის შხეფებში პირის ბანას და დაცხრომას,
რადგანაც დაგვიძმობილდა ამღერებული ბუნება,
რადგან ვარდივით იშლება ჩვენში ცხოვრება და შრომა.

ცაო, გიმზერ და მიხარის, რომ მიწისა ხარ დობილი
და რომ შენ გელტვის ოცნება დაუდგრომელი ჯერ კიდევ —
ზენარო შენს მშვიდ ტალღებში მალხენს ნიავი შობილი,
ჩემო მთაწმინდავ, სიცოცხლეს ბოლო ვინ მისცა ან კიდე!

O

ჩემო მთაწმინდავ, ტფილისზე გადმომდგარი ხარ ჩახჩახით,
შენი ბაღების ჩრდილები საამოა და გრილია.
მინდა გავთხარო ქვესკნელი — ჩვენ დიდებათა სამარხი,
შენი აღდგომა ჩავძახო ბარათაშვილს და ილიას.

და ჩვენთა დღეთა გმირობის შენს კალთებს ამკობს დარბაზი,
გშვენის ნაირი ფერები და მარმარილო სპეტაკი.
მთაო, დამდგარხარ ცოცხალი დიდ ძეგლად სილამაზისა,
ჩვენი სტალინის ზრუნვის და მისი ფიქრების დიდ ხარკად.

შენთან ვარ შენი მხედარი მთაწმინდავ ზურმუხტოვანო,
შენი ჩრდილის ქვეშ სიცოცხლე მართლა რომ მშვენიერია
დიდი სტალინის სახელით ამწვანებულო, რტოვანო,
დღეგრძელობა და დიდება შენს ხუროთმოძღვარს ბერიას,
ვისი სახელიც უკვდავი ხალხს გულში ჩაუწერია.



მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის შენობა
ნახ. ბეზუთოვა-გაბუნიასი



კალიაევის აღმართი — ნახ. კიკნაძისა

# ენგური

## ლავ. კალანდაძე

პოემა „ენგური" ქართული საბჭოთა ეპოსის შექმნის მნიშვნელოვანი ცდაა. მას ღირსებებიც აქვს და ნაკლოვანებებიც. ერთის მიჩქმალვა და მეორის გაზვიადება, ცალმხრივობა და რომელიმე უკიდურესობა ერთნაირად ავნებს ჩვენი, საბჭოთა მხატვრული კულტურის საქმეს.

საბჭოთა ეპოსის, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურის, ძირითად თვისებას უნდა შეადგენდეს ღრმა იდეურობა და მხატვრულ სახეებში გამოხატული იდეათა მთლიანობა. მაგრამ ნაწარმოების მაღალი იდეურობა სრულიადაც არ განისაზღვრება იმით, რომ მწერალმა თავის რომელიმე გმირს ორიოდე იდეოლოგიურად გამართული რეპლიკა ათქმევინოს ან ნაწარმოების რომელიმე სურათს ბოლოში იდეოლოგიურად მისაღები ნაჭერი მიაკეროს.

ზოგჯერ შეამჩნევთ, რომ ესა თუ ის მწერალი ნაწარმოების იდეოლოგიური გამართვისათვის მიმართავს იდეოლოგიური ჩანამატების (მსგავსად ლირიკული გადახვევებისა) ხერხს, რადგან არ ძალუძს იდეურობა თვით მხატვრული სახეების შინაგან არსებაში ჩააქსოვოს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხატვრული ნაწარმოების შინაგანი მთლიანობის დარღვევასა და ამდენადვე მხატვრულ და იდეურ უილაჯობასთან. იდეურობა თვით მხატვრულ სახეებსა და მათს ორგანიზაციაში უნდა ხორციელდებოდეს. სახე თვით უნდა იყოს იდეის ორგანიული შემცველი. მხატვრული სახის იდეური სრულყოფილება მოწმობს ნაწარმოების მაღალ მხატვრულ ღირსებას.

ა. მაშაშვილის პოემა „ენგური" ჯანსაღი იდეური შინაარსის პოემაა. მაგრამ თუ რამდენად ღრმად არის ეს იდეურობა განხორციელებული, ამას თვით მხატვრული სახეების ანალიზი დაგვანახვებს.

პოეტს მიზნად დაუსახავს — დაგვიხატოს მდინარე ენგურის პირად ქაღალდის ქარხნის მშენებლობის და ამ მშენებლობაში მონაწილე ადამიანთა შრომის, ბრძოლის და განწყობილების სურათები.

პოემაში დადებითი იდეალების წარმომადგენელი ბურდუ შელიაა. ეს სახე კი უმთავრესად მოქმედების გარეგნული ეფექტების ხაზებშია მოცემული.

ტყეში წალენჯიხელ მევრელების შრომა ბობოქრობს და ხმაურობს:

„ალბათ, იმარჯვებს ხე-ტყის ბრიგადა
ბურდუ შელიას მეთაურობით!"

ფლიდი ბესა ბუკია „ზეწრის ოდენა" თხოვნას მიართმევს ბურდუს და ისიც „დიდის ხალისით" ისმენს „უებრო" და „ქარაგმულ" სიტყვებს, და „თხოვნას დაადვა დასკვნა თავისი".

მუშათა კრებაზე ბესა ბუკია მავნებლურ-მტრული სიტყვით გამოდის. აქაც გარეგნული ეფექტებით მოსჩანს ბურდუ:

„დაუნდობელი და ენა-ბასრი
ჰკიცხავს ბუკიას თავის „მხლებლებით",
გაარადგურა მაგათი აზრი,
როგორც მავნე და მიუღებელი".

ერთს მომენტში ბურდუ დარდიანია. სწუხს, რომ ჩაშლილია ხეებით მომარაგება. გრძნობს, რომ ქარხნის ჭრილობები ჩვენი ტკივილია. პარტკომის მდივანმაც ურჩია, ჩასწვდომოდა საქმის რაობას, მაგრამ მან რატომღაც კინკლაობად და მისდამი შურლად ჩამოართვა:

„ქარხანა უნდა გადავარჩინოთ,
სთქვა და წამოდგა ვეფხვის მუხლებით".

გასცა ბრძანება, გამოიძახა ავტომანქანა მუშების გასამგზავრებლად.

ამრიგად, აქამდე ბურდუ შელია გარეგნული ეფექტებით არის ნაჩვენები. ჩვენ წინ არ იშლება ამ სახისა და მისი მოქმედების ღრმა შინაარსი, ღრმა იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური მოტივები.

ავადმყოფობისა და ინვალიდობის დროს მარტოდ დარჩენილ ბურდუს ცხოვრება უკვე უფრო ღრმად და მოტივირებულად არის დახატული. ხოლო უკანასკნელად ბურდუ შელიას შემმა ადიდებული მდინარის სტიქიასთან კვლავ გარეგნული ეფექტებით არის წარმოდგენილი.

„უცებ: შორიდან შუაგულ წყალში
ელვებრ გამოჩნდა კაცის სხეული..."

ამ მოსაზრებათა მიხედვით, უნდა ითქვას, რომ ბურდუ შელია სოციალისტური შრომის გმირის სისხლითა და ხორცით სავსე და ბოლომდე მთლიანი სახე არ არის. ის უფრო ესკიზია. ის უფრო ასეთი გმირის ზოგიერთ თვისების მონახაზია, ვიდრე დასრულებული გმირი. შემდგომისათვის პოეტმა ეს სახე უნდა გააღრმავოს, დაასრულოს, — სახე ახალი სოციალისტური ადამიანისა. ამის პოტენციური შესაძლებლობა მაშაშვილს უეჭველად მოეპოვება.

აქვე უნდა აღინიშნოს ამ სახის გარემოცვის მხატვრულად და იდეურად გაუმართლებელი ადგილები:

ჯერ ერთი, სრულიად გაუგებარია, რატომ ხდება სოციალისტური შრომის გმირის ბურდუ შელიას უყურადღებოდ და მარტოდ მიტოვება ინვალიდობის დროს? ადამიანებზე და მით უმეტეს წარჩინებულ ადამიანებზე ზრუნვა ჩვენი სტალინური ეპოქის დედაარსია. მაგრამ, როგორც ცალკეული შემთხვევა, ბიუროკრატიზმისა და მავნებლობის მეოხებით, ვსთქვათ, კიდევაც მოხდა სადმე მუშაკის დროებით უყურადღებოდ მიტოვება, მაგრამ მაშინ ასეთი მოტივი პოემაში უნდა სჩანდეს.

მეორე. ბურდუ მიდის თვითმკვლელობის გადაწყვეტილებამდე. და, ალბათ, ბურდუს მამას მათეს რომ ერთი წუთიც დაგვიანებოდა, მაშინ ნავანის შავი ტუჩი საბოლოოდ ჩააქრობდა ამ წარჩინებული ადამიანის სიცოცხლეს. როგორ მოხდა, რომ მაინცა და მაინც იმ წუთში მოვიდა მათე, როცა ნავანს ჩახმახი უნდა გამოშლოდა? ტრაგიკული და სასიხარულო წუთების ასეთი შემთხვევითი გადაჯვარება რაღაც ტრიუკისებურია.

უფრო მართალი და დამაჯერებელი კი ის იქნებოდა, რომ ბურდუ შინაგანი ბოლშევიკური ნებისყოფის ლოგიკით მისულიყო ამ გადაწყვეტილების უკუგდებამდე.

შედარებით უფრო სრულად და ცოცხლად არის დახატული გაიძვერა მტრის — ბესა ბუკიას სახე, რომელსაც

„რევოლუციის წელი ყოველი
ოაის ატყდებოდა ელვა-მეხივით".

ყამირი თუ ნახევრად ყამირი ნიადაგი ჰქონდა დასაძლევი პოეტს ახალი ადამიანის დასახატავად.

მტრის — ბესა ბუკიას დახატვისას კი მას უეჭველად შველის ლიტერატურული ტრადიციები..

რეალისტური სიცხადით და დამაჯერებელი გულწრფელობით აქვს დახატული პოეტს ბესა ბუკიას ევოლუცია. ჯერ ის განზე გამდგარი, გულაღრენილი მტერია საბჭოთა ხელისუფლებისა. მერე, ფლიდი და გაიძვერა, ხე-ტყის მუშათა რიგებში შეიპარება და იქ ამტუტებს წყალს. მშენებლობიდან განდევნის შემდეგ კი მაქაცარიასთან ერთად ცდილობს მავნებლური გეგმის განხორციელებას ენგურის ხიდის დასანგრევად.

ბესა ბუკია უეჭველად ცოცხლად და მართლად დახატული მტრის სახეა. მაგრამ იგი მაინც საჭირო რთულ კოლიზიებში არ არის მოცემული. ის მტრის ერთობ აშკარა ნიშნების მატარებელია, და ამიტომ უეჭველად ერთგვარ გაუგებრობასა და განცვიფრებას იწვევს, რომ ესოდენ აშკარა ნიშნების მტერი დროულად და სათანადოდ არ ისჯება.

მტრის, მისი მოქმედებისა და ყოფის დასახატავად პოეტს მომარჯვებული აქვს სარკაზმისა და იუმორის მახვილი იარაღი. განსაკუთრებით მოხდენილი და ცოცხალი სარკაზმით არის გამსჭვალული ბესა ბუკიას ოჯახური ცხოვრების სურათები.

მაშაშვილი „ენგურში" ამჟღავნებს სარკაზმისა და იუმორის უნარს. ეს მისი ნიჭის მრავალფეროვანებას მოწმობს. რასაკვირველია, ამ მხრივ მას მუშაობა ესაჭიროება და სერიოზული მუშაობაც.

ჩვენს პირობებში სარკაზმი და იუმორი ერთი უმახვილესი ლიტერატურული იარაღთაგანია ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად, ხალხის მტრების განსაგმირავად.

მხატვრულ ნაწარმოებს სარკაზმი და იუმორი კრიტიკის ძალას და ცხოველმყოფელობას აძლევს. უფრო მეტიც: მსოფლიო ლიტერატურის შედევრები ამ ხერხით აღწევდნენ საუკუნებრივ გამძლეობას.

ჩვენ ამ მხრივ უნდა დავეუფლოთ უდიდეს მემკვიდრეობას, შევისწავლოთ, კრიტიკულად გადავამუშაოთ იგი. ეს ერთი აუცილებელი პირობათაგანია სოციალისტური ქვეყნის დიდი მხატვრული ტილოების შესაქმნელად. მარტო ნიჭით ფონს ვერ გავალთ. მაშაშვილი აქ გამონაკლისი არ არის. მით უმეტეს, რომ თვით მაშაშვილის სარკაზმსა და იუმორშიაც აქა-იქ მოსჩანს პრიმიტივი და მხატვრული ზომიერების გადალახვა.

მაშაშვილს ეხერხება ეპიური თხრობა, სადა, მკაფიო და გასაგები. ადგილ-ადგილ ის ძლიერი ემოციური ძალის წარმტაც სურათებს იძლევა. მახვილი პოეტური ჭვრეტის უნარს ამჟღავნებს ფერთა შეზავებისა და ფერთალივლივის ოსტატობა. მრავალი მოხდენილი ეპიტეტი, ფიგურა და სახე მოწმობს, რომ პოეტს საკმაოდ მდიდარი პოეტური პალიტრა მოეპოვება. პოეტი ზოგჯერ, ალბათ, შეგნებულად იყენებს პოეზიის კლასიკური ნიმუშების (ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ხალხური პოეზიის) ხერხს, და ეს ცუდი არ არის.

მაგრამ ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მაშაშვილი აქა-იქ ხმარობს ბუნდოვან და შეუფერებელ ეპიტეტებს, გაუგებარ სახეებს, ლექსიური ფრაზების გაუგებარ მიმოხვრას და ზოგჯერ სრულიად უმიზნოდ ამტვრევს და ანაკიანებს ლექსის მოხდენილი რიტმის მდინარებას.

შეიძლება პოეტური ჯანბაზობის მოტრფიალეს ასეთი რამეები მოეწონოს კიდეც, მაგრამ, ჩვენის აზრით, ბუნდოვანი და ნაკლებ მხატვრულია თუნდაც ასეთი ალიტერატურული სახე:

„ტყეში ჭოტივით ბეუტავს ვარსკვლავი".

მიუხედავად ამისა „ენგური" თვალსაჩინო მიღწევაა ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

პოემა „ენგური"-დან მაშაშვილმა უნდა გასწიოს უფრო მაღალ შემოქმედებითი გამარჯვებისაკენ.

O

წერილი „ენგურის" შესახებ უკვე დაწერილი გვქონდა, როცა გავეცანით პოეტ ალ. მაშაშვილის სიტყვას, წარმოთქმულს „ენგურის" გარშემო გამართულ დისკუსიაზე — „ახალი ეპოსისათვის".

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ სიტყვაში მაშაშვილს დაშვებული აქვს ზოგიერთი არასწორი ფორმულირება. მაგალითად, მაშაშვილი სწერს: „თუ სოციალისტური ეპოსი საბჭოთა სინამდვილის ჩვენებაა, მაშინ იგი უნდა იყოს მეტი რეალიზმისა და დრამატიზმის დამტევი". ჩვენის აზრით, ფორმულირება „მეტი რეალიზმისა და დრამატიზმის დამტევი" არ არის სწორი, ვინაიდან სოციალისტურ ეპოსში რეალიზმის რაოდენობითი კატეგორიით განსაზღვრა ყალბი და მექანისტურია. საბჭოთა სოციალისტური ლიტერატურის რეალიზმი არის და უნდა იყოს ახალი თვისების რეალიზმი, რეალიზმი ღრმა, შეუზღუდველი რეალიზმი ანუ სწორედ სოციალისტური რეალიზმი, რომლისაგან ძველი, ბურჟუაზიული რეალიზმი განსხვავდება თავისი ვიწრო კლასობრივი შეზღუდვილობით.

მაგრამ მაშაშვილის ფორმულირების ძირითადი მცდარობა ამაში კი არა, იმაშია, თითქოს „თუ სოციალისტური ეპოსი საბჭოთა სინამდვილის ჩვენებაა, მაშინ იგი უნდა იყოს მეტი... დრამატიზმის დამტევი". საბჭოთა სინამდვილეს, სადაც მოხსნილია კლასობრივი ანტაგონიზმი, სადაც გაუქმებულია კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე და სადაც შექმნილია ყოველი პირობა ადამიანის საზოგადოებრივ და კერძო ინტერესებს შორის ჰარმონიის დასამყარებლად, — არასგზით არ ახასიათებს „მეტი დრამატიზმი".

ბურჟუაზიული საზოგადოება კი, რომელიც გაჩანაგებულია ანტაგონისტურ ძალთა მოქმედებით, ღასავსეა დრამატიზმით. დრამატიზმი ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგანი კანონზომიერების გამოხატულებაა, იგი მისი ბუნებიდან გამომდინარეობს. სწორედ ამიტომ არის შემცდარი მაშაშვილი, როცა საბჭოთა ეპოსის მეტ დრამატიზმზე ლაპარაკობს.

მაგრამ იქნებ მაშაშვილმა გვითხრას, რომ ის დრამატიზმში ლიტერატურის წმინდა ფორმალურ ხერხს გულისხმობს. ამ შემთხვევაშიაც მისი დებულება სწორი არ არის, რადგან, ჩვენ ვიცით, რომ ლიტერატურის ფორმალურ ხერხებსაც სინამდვილის გარკვეული კანონზომიერება შეესაბამება.

ამიტომ, ჩვენის აზრით, სოციალისტური ეპოსისათვის ლაპარაკი შეიძლება არა მეტ დრამატიზმზე, არამედ თვისობრივად ახალ დრამატიზმზე, სოციალისტურ დრამატიზმზე, რომელიც ახალი სოციალისტური საზოგადოების და ახალი სოციალისტური ადამიანის ჰარმონიული ზრდის „ტკივილების" სფეროდან მოდის, რომელიც კაპიტალიზმის ნაშთებთან ბრძოლის მომენტებიდან მოდის.

საბედნიეროდ, მაშაშვილის მხატვრული შემოქმედების პრაქტიკა მის ამ შემცდარ დებულებას სრულიადაც არ მიჰყვება, რაც მაშაშვილის შემოქმედების სიჯანსაღეს მოასწავებს.

მაშაშვილის სხვა დებულებებზე არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ ფსიქოლოგიურ ლაპსუსს. სახელდობრ, მაშაშვილი სწერს: „თუ გინდათ, რომ ბავშვი არ მოგშორდეთ, უპასუხეთ სწორად. სამაგიეროდ თუ უპასუხებთ ბავშვს რომელიმე შეკითხვაზე გაუგებრად, ის უმალვე თავს დაგანებებთ". ვფიქრობთ, ნამდვილად პირიქით ხდება. ბავშვი ერთობ ცნობისმოყვარეა და მის ინტერესს მისთვის უფრო უცნობი საგნები და მოვლენები იწვევენ.

# „კალმასობის“ ავტორი

1770—1830

[illegible]

მდგომარეობა: „ძნელი სჯულისდება საბრალოს გლეხთა ზედა“ (გვ. 46); რომელთაც „მკის დროს და ლეწვის დროს ხარები ერთმევათ და წვრილის შვილების გამომზრდელი ძროხები“ (იქვე).

ძველი წესწყობილების უვარგისობა, „სამეფოს უწესოება და წარუმართებლობა“ იოანე ბატონიშვილს ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში აწუხებდა. 1799 წლის 10 მაისს იგი თავისი მამის გიორგი XII-ის სახელზე სწერს „სჯულისდებას“ — წინადადებათა პროექტს, რომლის მიხედვითაც ძველი წყობილება უნდა შეიცვალოს „სხვადასხვა გვარმან ცუალებამან კანონთამან, უთანხმოებამან და უწესოებამან მართებლობისამან მოიყვანეს თითქმის სრულიად საქართველოისა ერნი განწირულებასა შინა... და უკეთუ ლონესა არა რაისამე მოიპოვებთ, ესე უბედურებაი იქნების გაგრძელებულ“-ო. ასე აფრთხილებდა ახალგაზრდა იოანე მამას, გიორგი მეთორმეტეს.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ ობიექტიური სურათია მე-18 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური არსებობის უკანასკნელი დღეებისა. ავტორი მეტად რეალისტურად გვიხატავს მაშინდელი არისტოკრატიის, ეკლესიის მსახურების,

[illegible]

თული ი. ხელაშვილის სიტყვები:

„თქვენ შორის თეორეტიკა ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისა დაუნჯებულ არიან ხედვითი და პრაქტიკანიც, კეთილმსახურებისა და ხელოვნება მათემატიკურნი და მხატვრობანი და მკურნალობისცა-ც ნაწილნი და ფიზიკურნი ცნობანი... სჯულვილება და სჯულებთა თხზვანი და ისტორიათა წერანი და წიგნებთა საკუთარნი თხზულებანი თქუენნი, — სწამებენ სარგებლობასა მამულისასა, უკეთუ განმრავლდენ საბეჭდავებითა, რომელ დღე და ღამე ათევთ წერითა, რათამცა სარგებლობანი შესძინოთ ერსა სიბრძნისა და მამულისა და მოყვარეთა“ (ს. ს. № 791, ფურცელი 2).

დასასრულ საინტერესოა ალ. ორბელიანის მიერ გადმოცემული სასახლის წრეების აზრი იოანეზე: „დავით ბატონიშვილის ძმა ივანე სჯობნებია დავითს, არამც თუ მარტო დავითს, მთელს სახლეულობას სულ ერთიან. თუ კიდევ ყოფილა რამე, ისევ ივანე ბატონიშვილი, სხუანი ნაკლები იმაზედ“ (წ. კ. ხელწერი 1655/ა).

იოანე იყო ცნობილი მხედარი და რამდენიმე ლირიკული ლექსის ავტორი.

გიორგი ლეონიძე

# დიმიტრი პისარევი

[illegible]

მას არ სწამდა ოლიმპიელი ქურუმები, „წმინდა ხელოვნების“ მსახურნი, ცხოვრებისაგან განდგომილი ესთეტიკოსები. მხატვარი, ხელოვანი, მისი აზრი, არის მხოლოდ ის, რომელიც გვიჩვენებს სოციალურ წინაალმდეგობას, ცხოვრების სიმახინჯეს და ამით მკითხველში ნერგავს სიძულვილს საზოგადოებრივი უკულმართობისა და ბოროტებისადმი. ვინც მოვლენებს ესთეტიური თვალსაზრისით უყურებს,—ამბობს პისარევი,—ის არ შეიძლება იყოს მოვლენების ბიძგის მიმცემი, სწორეთ ისევე, როგორც არ შეიძლება ქირურგად გამოდგეს ის ბავშვი, რომელსაც ლანცეტი ბრჭყვიალა სათამაშო ჰგონია. ნამდვილი მხატვარი გვერდს ვერ აუხვევს ადამიანის უამრავ ტანჯვას, რომელიც ყოველმხრიდან ერთს მთლიან შავკედლად გვარტყია.

განსაზღვრავს რა ამ ძირითად მოთხოვნით ხელოვნების ამოცანებს, პისარევი ფიქრობს, რომ ამ დიდი მისიის შესრულება შეუძლია მხოლოდ რეალისტურ ხელოვნებას. რეალისტურად იგი სთვლის იმ ნაწარმოებს, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების არსებითს, ტიპიურ მხარეებს. ნაწარმოები, რომელიც გარეგნულად მართალს, მაგრამ შემთხვევითს ამბავს გადმოგვცემს, არ არის მხატვრული ღირებულების მატარებელი, რადგან იგი ზერელე წარმოდგენას იძლევა ცხოვრების პროცესზე. სინამდვილეში ხანდახან ბევრი სრულიად დაუჯერებელი რამ ხდება, მაგრამ ჩვენ ვერ დაუჯერებთ მხატვარს, თუ იგი

[illegible]



ადამიანთა ურთიერთობის, ადამიანის სულიერი მოძრაობის ასახვა მწერლის შემოქმედების მთავარი საგანიაო,—ამბობდა იგი, — რადგან მხოლოდ ეს აძლევს მხატვრულ ძალას ნაწარმოებს.

ბუნებრიობა, ფსიქოლოგიური სიმართლე, შინაგანი ლოგიკური თანმიმდევრობა გმირის ხასიათის დამუშავებაში, — ასეთია ის პირობა, რომელსაც, პისარევის აზრით, უნდა იცავდეს მხატვრული ნაწარმოების ავტორი. თუ თავის გმირს მწერალი მიაწერს რაიმე თვისებას, მაგრამ ამ თვისებას არ გამოხატავს გმირის ყოფა-ქცევით, ჩვენ გვექნება უფლება ვთქვათ, რომ ავტორს არ ეყო ძალა გმირის სახეში მოეცა ის, რაც განყენებული წინადადებით გამოსთქვა.

ასეთია პრინციპები პისარევის პოზიტიური ესთეტიკისა, პრინციპები, რომლებიც მისაღებია ჩვენთვისაც. ამგვარად, წინაალმდეგ ვულგარიზატორების მტკიცებისა, პისარევმა შექმნა თავისი პოზიტიური კონცეპცია, რომელსაც ახლო ნათესაობა აქვს ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის ესთეტიკურ შეხედულებებთან. რუსეთის რევოლუციურ დემოკრატებისა და პისარევს შორის ამ მხრივ უეჭველად მსგავსება არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც, პოლიტიკური მოღვაწე და სოციოლოგი, პისარევი სხვა პოზიციაზე იდგა.

იზიარებდა რა საზოგადოებრივ საკითხებში ოგიუსტ კონტისა და

[illegible]

პისარევის საზოგადოებრივ - პოლიტიკურმა შეხედულებებმა დიდი ევოლუცია განიცადეს. რევოლუციური მოძრაობის აზვირთების წლებში იგი სოციალიზმის იდეებს მიუახლოვდა, უარყოფდა რა კაპიტალიზმს და კერძო საკუთრების პრინციპს, იგი იცავდა და ამართლებდა გლეხურ აჯანყებას. მაგრამ რევოლუციური მოძრაობის დამარცხების შემდეგ, იგი ანვითარებდა იმ აზრს, რომ სოციალური წყობილების გარდაქმნა მშვიდობიანი გზით, ტექნიკის და მეცნიერების შემწეობით უნდა ხდებოდესო. მიუხედავად ამისა, პისარევი ბოლომდე დარჩა ცარიზმისა და თვითმპყრობელობის მძულველ რადიკალად, რომელიც იბრძოდა პროგრესიული საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარებისათვის.

პისარევი თანამედროვეებს ანცვიფრებდა თავისი დიდი ერუდიციით. ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ბუნების მეტყველების საფუძვლიანი ცოდნა მას საშუალებას აძლევდა ფართოდ და ყოველმხრივ გაეშუქებია ესა თუ ის ნაწარმოები. ამასთან იგი იშვიათი სტილისტი იყო. მისი ყოველი წერილი ბრწყინავს აზრის სინათლითა და სიმკვეთრით, მხატვრული სახეებით, პოლემიკური სიმახვილით, გაბედულობით და დაუნდობლობით იმ შემთხვევაში, როცა საკითხი ყოველივე დრომოჭმულის, დახავსებულის და რეაქციულის კრიტიკას შეეხებოდა. ამით აიხსნება, რომ პისარევმა, მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა და მოღვაწეობისა (იცოცხლა 28 წელი, იმოღვაწა ცხრა წელიწადი), ღრმა კვალი დაამჩნია რუსული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას.

ვ. წულუკიძე

# რუსი კლასიკოსების საღღესასწაულო საღამოები თბილისში

დიდი რუსი მწერალი ალექსანდრე გრიბოედოვი ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობისათვის ადრევე იქცა პოპულარულ მწერლად. იგი თავისი პირადი მდგომარეობით (ცოლად ჰყავდა ნინო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული) ძალიან ახლო იდგა თავისი დროის ქართული ლიტერატურის მესვეურებთან. მისი უკვდავი კომედია „ვაი ჭკუისაგან“ ტფილისში ხშირად იდგმებოდა შინაურ სალამო-წარმოდგენებზე.

ალ. გრიბოედოვისადმი ასეთი გულთბილი დამოკიდებულების ბუნებრივ შედეგად უნდა ჩაითვალოს ის ინტერესი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მისი კომედიის თარგმნისადმი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშივე. ადრე „ვაი ჭკუისაგანის“ თარგმნა არა ერთ ქართველ პოეტს უსინჯავს, მაგრამ ყველა ამათგან მიზანს მიაღწიეს (არა სავსებით) მხოლოდ გიორგი ერისთავმა და გრიგოლ წინამძღვრიშვილმა.

1879 წ. ალექსანდრე გრიბოედოვის მოკვლიდან 50 წელიწადი შესრულდა. ეს თარიღი მეტად აღნიშნეს ტფილისშიაც. ქართული გაზეთი („დროება“) სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა იმ სიახლოვეს, რომელიც რუსს დიდ პოეტს ჰქონდა საქართველოსა და ქართველ ხალხთან. აი რას წერდა გაზ. „დროება“ გრიბოედოვის წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით: „ამ იანვრის 30-ს შესრულდება 50 წელიწადი მას აქეთ, რაც აჯანყებულ სპარსელებმა მოჰკლეს თეირანში გამოჩენილი და სანაქებო რუსის მწერალი—კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ ავტორი, ალექსანდრე სერგეის-ძე გრიბოედოვი. მთელი რუსეთი აპირობს ამ დღის დღესასწაულობას; მაგრამ ტფილისს თითქო ჰსურს, რომ ამ შემთხვევაში მაინც, ყველა რუსის ქალაქებს გადააჭარბოს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ა. ს. გრიბოედოვი კავკასიასთან ძალიან დაახლოებული პირია: ის იყო, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ჩვენი სიძე („ყავდა ცოლად თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალი—ნინო, ეკატერინე მინგრელსკის და ბარონ ნიკოლაის ცოლის დაი), ის აქ არის თავის ცოლით მთაწმინდის ეკლესიაზედ დამარხული, საუკეთესო დღენი თავის ცხოვრებისა იმან კავკასიაში, საკუთრად ტფილისში, გაატარა და ყველა ამას გარდა, თავისი ჩინებული უკვდავი კომედია „ვაი ჭკუისაგან“, რომელმაც ახალი მიმართულება მისცა მაშინდელს რუსის მწერლობას და რომელშიაც ასე ნიჭიერად არის გამოყვანილი მაშინდელი რუსის საზოგადოების წარმომადგენელი დამყაევებული პირები, ეს კომედია გრიბოედოვმა აქ, ჩვენს ტფილისში დასწერა. აი ამიტომაც ჩვენი ქვეყანა გრიბოედოვს თავის „კაცად“, თავის „შვილად“ სთვლის და ასე გულმოდგინეთ აპირებს იმის იუბილეის დღესასწაულობას“.*)

მართლაც, „დროების“ მიერ ნაჩვენებ დღეზე ცოტა ადრე (28 იანვარს) „ტფილისის წრეში“ ჩატარებულ იქნა დიდი საიუბილეო სალამო. სალამოზე მოსმენილ იქნა სამი მოხსენება ალ. გრიბოედოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. სხვათა შორის, გრიბოედოვის ბიოგრაფიის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ცნობილი დავით ერისთავი.

სალამოს დიდძალი ხალხი დაესწრო, სალამომ მეტად ფართო ხასიათი მიიღო. აი როგორ აჯამებდა ამ საიუბილეო სალამოს შედეგებს გაზეთი „კავკაზი“: „კვირას, 28 იანვარს, „კრუჟოკში“ შესდგა ა. ს. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სალამო. კითხვის პროგრამა იყო შემდეგი: თ. დ. ერისთავი—ა. ს. გრიბოედოვის ბიოგრაფია. ა. პ. ბერჟე—ხოსროვ-მირზას ელჩობა ბოდიშის მოხდის მიზნით 1829 წლის 30 იანვრის კატასტროფის გამო და ა. ი. პალმი—„ვაი ჭკუისაგან“ და მისი კრიტიკოსები. დამსწრე საზოგადოების რიცხვი იყო ძალიან დიდი. თითქმის დამსწრეთა მესამედისათვის დარბაზში ადგილი აღარ იყო და მათ დაიკავეს ნაწილობრივ სტუმრებისა და ნაწილობრივ გუნდის ადგილები“. **)

ასე ფართოდ აღნიშნეს ტფილისში ა. ს. გრიბოედოვის გარდაცვალების 50 წლისთავი. მაგრამ საჭიროა აქვე განხილულ იქნას გრიბოედოვის ერთი თარგმანის ბედი, რომელიც რამდენადმე ამავე დღესასწაულთან არის დაკავშირებული.

როგორც ზევით გაკვრით ითქვა, ალ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგანის“ ერთ-ერთი საგულისხმო თარგმანი შესრულებულია მე-19 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში (დაიბეჭდა 1853 წ.). ეს თარგმანი, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა (თარგმანი შესრულებულია პროზად), თავისი დროისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობისა იყო. ეს წიგნი დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, აი ამ წიგნის თავფურცელიც:

ვაი ჭკუისაგან

კომედია
ოთხ მოქმედებად
თხზულება
ალექსანდრე გრიბოედოვისა,
ნათარგმნი
გრიგოლ წინამძღვაროვის მიერ
ქ. ტფილისს — სტამბასა შინა უ. კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისა.

1853

ამრიგად, გრ. წინამძღვრიშვილის თარგმანი დაბეჭდილია 1855 წელს, მაგრამ, როგორც ჩანს, სამი ათეული წლის განმავლობაში გამოცემის მთელი ტირაჟი სტამბაში წყობილა და მისი გავრცელება მომხდარა მხოლოდ 1879 წელს აღნიშნულ დღესასწაულთან დაკავშირებით. აი რა საინტერესო ცნობას იძლევა ამის შესახებ გაზ. „დროება“. „ჩვენ შევიტყვეთ, რომ უფ. გრ. ბეჟ. წინამძღვაროვისაგან 1853 წელს ნათარგმნი გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“ მას შემდეგ თითქმის მთელი გამოცემა ნამესტნიკის ტიპოგრაფიაში წყობილა. ახლა, ამბობენ, უფ. წინამძღვაროვს ეს კომედია გამოაქვს ხსენებულ სტამბიდან და გასასყიდლად დაარიგებს წიგნის მაღაზიებშიო“. ***).

ეჭვი არ არის, რომ ალ. გრიბოედოვის კომედიის ქართული თარგმანი შეჩერებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ცენზურის მიერ. გარდა იმისა, რომ თვით კომედია „ვაი ჭკუისაგან“ მკაცრი სატირა იყო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის თვითმპყრობელურ რუსეთზე და ეს სატირული ტონი საკმაოდ დაცული იყო ქართულ თარგმანშიაც, არის ამ წიგნში სხვა მომენტებიც, რომლებიც უფრო აღრმავებენ კომედიის დედააზრს. უფრო მეტიც: ქართველი მთარგმნელი წინასიტყვაობის მაგიერ წამძღვარებულ „მოკლე მოთხრობაში“ პოპულარიზაციას ახდენს დიდი რუსი მწერლისა და იმ იდეებისა, რომლებიც ავტორმა თავის უკვდავ კომედიაში გაატარა. წინამძღვარიშვილი ჯერ აწვდის ქართველ მკითხველს ცნობებს ა. ს. გრიბოედოვის ბიოგრაფიიდან, ხოლო შემდეგ ახდენს თვით ნაწარმოების გარჩევას.

1886 წლის აპრილში 50 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ რაც პირველად პეტერბურგის სცენაზე დაიდგა გოგოლის კომედია „რევიზორი“.

ეს ლიტერატურული თარიღი ტფილისშიაც დიდის გულმოდგინებით იქნა აღნიშნული. ჯერ კიდევ სამზადისის პერიოდში გაზ „ივერია“ დღედა-დღე იტყობინებოდა ამ დღესასწაულის მოახლოებას და ახდენდა საზოგადოებრივი ყურადღების მობილიზაციას. ****)

1886 წლის 6 მაისს „დრამატიული საზოგადოების“ ინიციატივით მოეწყო ნ. გოგოლის ხსოვნის აღსანიშნავი ლიტერატურული სალამო. სალამოზე მოსმენილ იქნა მოხსენება ნ. გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, წაკითხულ იქნა მწერლისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი და, ბოლოს, წარმოდგენილ იქნა თვით „რევიზორი“.

აი რას წერდა „ივერია“ 6 მაისის ლიტერატურული სალამოს შესახებ: ამ წელს შესრულდა ორმოცდაათი წელიწადი მას შემდეგ, რაც პირველად წარმოადგინეს გოგოლის უკვდავი კომედია „Ревизор“ მთელმა რუსეთმა დიდის ამბით იდღესასწაულა ხსენება თავის სახელოვანის, მაღალნიჭიერის მწერლისა. ჩვენმა დრამატიულმა დასმაც არ დაივიწყა რუსეთის სახელოვანი მწერალი და ღირსეულად პატივი სცა მის სახელს. გუშინ, 6 მაისს, „დრამატიულის საზოგადოების“ თაოსნობით გაიმართა წარმოდგენა გოგოლის სახსოვრად. ითამაშეს „Ревизор“ მე-2 და მე-3 მოქმედება. წარმოდგენის წინ, აიხსნა თუ არა ფარდა, სცენაზე გამოჩნდნენ არტისტები ხუთის ყვავილის გვირგვინით ხელში. სცენაზე ამაღლებულ წითელის მაუდით დაფენილს და ყვავილებით შემკულ ადგილას გოგოლის სურათი იდგა.

პირველად წარმოსდგა წინ დრამატიულის საზოგადოების წევრი ბ-ნი ავალიშვილი და წაიკითხა საზოგადოების წინაშე წერილი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს გოგოლს რუსეთის მწერლობაში. მის შემდეგ ბ-ნმა ვ. თუმანიშვილმა წაიკითხა რუსულად ბ-ნ თხორჟევსკის ლექსი, განგებ ამ შემთხვევისთვის დაწერილი. ბოლოს გამოვიდა ჩვენი სახელოვანი აკაკი და დიდის გრძნობით წაიკითხა თავისი მშვენიერი, გრძნობით და აზრით სავსე ლექსი. *) ლექსმა მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. სამივემ წაკითხვის შემდეგ გოგოლის სურათის ქვეშ გვირგვინები დააწყეს.

ამის შემდეგ დაიწყო „Ревизор“-ის წარმოდგენა. ყველაზე უკეთესად თავი იჩინა არტისტმა საბუელმა: საბუელი სწორედ რომ შეუდარებელი „ოსიპი“ იყო. ურიგო არ იყო აგრეთვე Городничий — სცენის მოყვარული ბ-ნი ან. ლორთქიფანიძე. თუმცა გამბედაობა აკლდა. ბ-ნი აბაშიძე შესაფერი „ხლესტაკოვი“ იქნებოდა, ბოლოს ცოტად რომ არ გადაეჭარბებინა. „ბობჩინსკის“ და „დობჩინსკის“ — ბ-ნთ მაქსიმიძესა და ალექს-მესხიევს—მშვენიერად გაეკეთებინათ სახე“.

ასე ჩატარდა ნ. გოგოლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სალამო.

ა. მახარაძე

*) „დროება“, 1879 წ., № 9.
**) გაზ. „კავკაზი“, 1879 წ., № 23.
***) „დროება“, 1879 წ., № 26
*) იხ. „ივერია“. 1886 წ., №№ 92,97,98,99.

# ბაირონის ქართული თარგმნისათვის

„ლიტერატურულ საქართველოს“ მიმდინარე წლის მე-10 ნომერში მოთავსებული იყო ამხ. ი. კაციტაძის წერილი წიგნზე „ბაირონი“ (სახ. უნ-ტის გამოცემა, 1938 წ.), რომელიც გამოვიდა ბაირონის გარდაცვალებიდან 150 წლის შესრულებასთან დაკავშირებით. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ბაირონის ლექსებისათვის წამძღვარებული წინასიტყვაობა შეიცავს მრავალ უხეშ პოლიტიკურ შეცდომას და ამასთან ბაირონის ლექსების თარგმანიც ძალზე დაშორებულია ორიგინალსო.

პირველ საკითხში ვეთანხმები რეცენზენტს. ჩემს მიერ მოცემული ფორმულირება შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ციტატის ბოლოში ვწერდი, რომ „ამ ორი შეგნების შეერთება იყო ბაირონი“-მეთქი. ამით ცხადი ხდება, რომ მე არ მინდოდა ზოგადი თეორიის შექმნა რევოლუციების შესახებ; მე მინდოდა მხოლოდ—განმესაზღვრა ბაირონის დამოკიდებულება რევოლუციებთან, კერძოდ მის დროს მომხდარ საფრანგეთის რევოლუციასთან. რასაკვირველია, ეს მაინც არ ამართლებს ჩემს წერილში მოცემულს შემცდარ ფორმულირებას.

რაც შეეხება თარგმანს, რეცენზენტმა სწორად აღნიშნა ზოგიერთი დაცილება ორიგინალისაგან, (მაგ. „მოგონება“).

ამასთან ერთად მე მინდა ავღნიშნო ზოგიერთი ჩემი მოსაზრება ბაირონის ქართულ ენაზე თარგმანის პრინციპების შესახებ.

ბაირონი დიდი პოეტური „თავნება გრძნობის“ პატრონია და მისი ლექსის გადმოცემაც მხოლოდ მისი მიდგომის ექვივალენტური მიდგომით თუ მოხერხდება. ჯერ არსად არ თქმულა, რომ დიდი პოეტის კარგი ლექსით მოცემული თუგინდ არა ოდნავ დაშორებული თარგმანი არ სჯობია ცუდი ლექსით ან პედანტური „Подстрочник“-ით მოცემულ უზუსტეს თარგმანს; ჯერ არსად არ თქმულა, რომ სჯობია წაავოს ლექსისთვის ფრიად დამახასიათებელმა ფორმალურმა შესრულებამ, რომელიც არ უგულებელჰყოფს ლექსის იდეას და საერთო განწყობილებას, ოღონდ კი ორიგინალის სიტყვები გამოვიდეს ზუსტად თარგმნილი.

ახლა რაც შეეხება რეცენზიის კვინტესენციას—სიტყვა სიტყვით თარგმანს. მე მინდა „ოდნავ“ დავაზუსტო ის:

„My days of Lappiness are few“ ნიშნავს „ჩემი ბედნიერების დღეები ცოტაღა არიან“ და არა „ჩემი ბედნიერების დღეები მცირე დარჩა“.

„Wintry blast“, რომლის გაგებაშიც რეცენზენტი მედავება, არის სწორედ „ზამთრიანი“, თუ გნებავთ, „ზამთრული“ ქროლა, რადგან "Winter" ნიშნავს „ზამთარს“, ხოლო „Wintry „ზამთრისა“, „საზამთრო“, რუსულად „зимний“-ს, „blast“ კიდევ „ქარის ქროლა“ არის. „chill'b by misfortune's wintry blast“. მაშასადამე, (თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ზმნა „to chill“ ნიშნავს „გაყინვას“ და აგრეთვე. „ჭმუნვარებას“, „სასოწარკვეთილებას“), გამოვა, რომ ნიშნავს „გაყინული უბედურების ზამთრიანი ქროლით“ და არა: „უბედურების მსუსხავი ქარით გაცივებული“.

რეცენზენტს სიტყვა სიტყვითი თარგმანიც ეშლება:

And be cach drop in future years
Repaid thee by the people's smiles“.

არის არა;

„და მომავალში თითეულ შენ
ცრემლს ხალხი ღიმილით
გადაგიხდის“,

არამედ:

„და იყოს ყოველი წვეთი მომავალ წლებში გადახდილი ხალხის ღიმილით“.

(მე განგებ ვთარგმნი ყოველ ცალკეულ სიტყვას, რომ ნამდვილი სიტყვა სიტყვითი თარგმანი გამოვიდეს).

იმ პოეტური თავისუფლებისას, რომელიც ნებადართულია პოეტური თარგმანის დროს, ჩემი თარგმანი შორს არ მიდის ორიგინალისაგან და „წლებს მომავლებს“ ლექსში არ არის თვით დიდი პოეტების მიერ დაშვებულ აგრამატიკულ ცოდვებზე მეტი. რეცენზენტი თავის თარგმანის დროს მზად არის მოძებნოს ყოველგვარი სინონიმი, ოღონდ კი არ გამოიყენოს ის სიტყვა, რომელიც მე მაქვს ნახმარი. „Whichwaves iu every raven tress“ მას ასე აქვს თარგმნილი: „რომელიც ირხევა მის ყოველ გიშრის დალალში“. ნამდვილად კი ზმნა to wave ნიშნავს „ღელვას“, ისე, როგორც მე მაქვს ნახმარი. ასევე „nameless“ ნიშნავს „უსახელოს“ და არა „სახელ შეურქმეველს“. სიტყვა „Assyrian“ ნიშნავს არა ასურელებს, რაც იქნებოდა „Assyrians“, არამედ აშურელს. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მთელი ორი სტრიქონი

The Assyrian came dawn like wolf
on the fold
And his cohorts were gleaming in
purple and gold“

ნიშნავს: „აშურელი (the Assyrian) თავს დაესხა როგორც მგელი (wolf) ფარას.

და მისი (his) ურდოები (და არა ბრბოები) ბრწყინავდნენ პურპურით და ოქროთი“, რადგან ქვემდებარე (Assyrian), შედარება (wolf) და ნაცვალსახელი (his) ნახმარია მხოლობით რიცხვში, გამოვა, რომ ლაპარაკია ერთ აშურელზე, რომელიც არ შეიძლება მთელ ერად, აშურელებად მივიღოთ და რომელიც ლაშქრის სათავეში დგას და, მაშასადამე, მისი მეფეა, რადგან მისი პერსონა გამოყოფილია ცალკე.

მეორე სტრიქონს რეცენზენტი ასე „აქართულებს“;

მისი (ე. ი. ასურეთის) ბრბოები ბრწყინავდნენ მეწამულსა და ოქროში“, ინგლისურ გრამატიკაში სწერია, რომ აქ ნახმარი კუთვნილებითი ნაცვალსახელი „his“ (მისი) იხმარება ცოცხალი, მამრობითი სქესის არსებების მიმართ. მაშასადამე, აქ არც ასურელებია და არც სახელმწიფო ასურეთი, არამედ ვიღაც დიდი ასურელი, რომლის სახელსაც ლექსის სათაური ხსნის (სენნაქერების დამარცხება“) და რომელიც იყო ასურეთის ისტორიული მეფე. შეიძლება ტოლსტოის რუსულმა თარგმანმა შეაცდინა რეცენზენტი. იქ სწერია: „Ассириане шли“.

შემდეგ

„And the sheen of thei spears
was like stars on thesea“.
When the blue wave rolls nightly
ou deep Galilee.

რეცენზენტი საოცრად სთარგმნის „ქართულად“:

„და ელვარება მათი შუბებისას ჰგავდა,
გალილეის ღრმა ზღვაზე ვარსკვლავებს (ე. ი. ვარსკვლავების ბრწყინვა).
როს მასზე (ზღვაზე) ღამით ლურჯი ტალღა რონინებს.“

ნამდვილად კი ეს ადგილი ნიშნავს სიტყვა სიტყვით: „და ელვარება მათი შუბებისა იყო (შეიძლება, იდგა) როგორც ვარსკვლავები ზღვაზე, როდესაც ლურჯი ტალღა გორავს ღამით ღრმა გალილეიზე (ე. ი. გალილეის ზღვაზე)“.

რეცენზენტს უნდა სცოდნოდა, რომ „toroll“ არის „გორება“ და არა, „რონინი“, რომელიც „ხელით ტარებას“ ნიშნავს (იხ. საბა). „the breath of bis pride“ ნიშნავს „სუნთქვას მისი სიამაყისა“ და არა „ამაყ სუნთქვას“. რაც შეეხება მერანის „ნესტოებს“, რომლებსაც კაციტაძე ვერ ხედავს, მესამე სტრიქონშია გადატანილი, რომელიც რეცენზენტს არ მოყავს.

შემდეგ:

My days are in the yellow leaf“

ნიშნავს: „ჩემი დღეები ყვითელ ფოთლებშია. (ე. ი. მიიწურა)“ და არავითარ შემთხვევაში არ არის: „ჩემი დღეები ყვითელი ფოთლებითაა დაფარული“(!)

ასეთია ჩემი მოსაზრებანი ბაირონის ქართულ თარგმანზე.

საჭირო იყო რეცენზენტს აღენიშნა ის ლექსებიც, რომლებიც, ჩემის აზრით, ცუდად არ არის ნათარგმნი.

გ. ბაჩჩილაძე

# ვალერ. გაფრინდაშვილის ლექსები რუსულად

„ზარია ვასტოკას“ გამომცემლობამ გამოსცა ვალერიან გაფრინდაშვილის რჩეული ლექსების კრებული რუსულად.

ლექსები თარგმნილია ბ. პასტერნაკის, ს. სპასკის, პ. ანტოკოლსკის, გ ბრიკის, დ. პეტროვსკის, რ. ივნევის, ბ. სერებრიაკოვის, ა. ჩაჩიკოვის და გ. კრეიტანის მიერ.

ლექსების უმრავლესობა ზუსტად და კარგად არის თარგმნილი. ზოგიერთ შემთხვევაში თარგმანი შორდება დედანს, ეს უფრო ითქმის ბორის ბრიკის თარგმანებზე.

აღნიშნული წიგნი განსაკუთრებით განკუთვნილია რუსი მკითხველისათვის, ამიტომ კარგი იქნებოდა რომ წიგნისთვის წარემძღვარებიათ მოკლე კრიტიკული წერილი, რომელშიც მოცემული იქნებოდა პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფია, პოეტის თავისებური შემოქმედებითი გზა და მისი შემოქმედების შინაარსის იდეურ-პოლიტიკური ევოლუცია.

წიგნი შეიცავს 96 გვ. და ღირს სამი მანეთი.

# ვეფხის ტყაოსნის ახალი გამოცემა

ამხანაგ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“. წიგნი მცირე ფორმატისაა.

უბის „ვეფხის ტყაოსანი“ დაბეჭდილია საიუბილეო აკადემიური გამოცემის ტექსტის მიხედვით. იგი ლამაზად და მიმზიდველადაა გამოცემული, აქვს მაღალხარისხოვანი ყდა. შოთა რუსთაველის პორტრეტი დახატულია ფერადი საღებავებით.

წიგნის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ ს. კეცხოველს, ხოლო ტექსტის ილუსტრაციები — მხატვარ ირაკლი თოიძეს. უბის „ვეფხის ტყაოსანში“ მოთავსებულია 16 საილუსტრაციო ნახატი.

# ქართული ფოლკლორი

## მოხსენება ფოლკლორისტთა საკავშირო თათბირზე

7-11 ივნისს ქ. ლენინგრადში მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის მიერ ჩატარებულ იქნა ეთნოგრაფებისა და ფოლკლორისტების საკავშირო თათბირი. თათბირზე მონაწილეობას იღებდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და მოსკოვ-ლენინგრადის ცნობილი მეცნიერ-მუშაკები, რომელთა რიცხვი ოთხმოცდაათს აღემატებოდა.

თათბირმა მრავალი აქტუალური მოხსენება მოისმინა, მათ შორის: აკად. ვ. სტრუვეს—„საბჭოთა ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისტიკის ამოცანები“, პროფ. ი. მ. სოკოლოვსკის —„საბჭოთა ფოლკლორის განვითარების ძირითადი გზები“, პროფ. მ. კ. აზადოვსკის—„ბილინური ეპოსის წარმოშობის საკითხები ა. ვესელოვსკის მიხედვით“, პროფ. ვ. მ. ჟირმუნსკის—„ა. ვესელოვსკის ისტორიული პოეტიკის წყაროები“, პროფ. ნ. პ. ანდრეევის—„ლენინისა და სტალინის სახე საბჭოთა კავშირის ხალხთა შემოქმედებაში“, პროფ. დ. კ. ზელენინის—„რუსეთისა და უკრაინის ხალხთა კულტურის ისტორიული ერთობლიობა“ და სხვ.

8 ივნისს დილის სხდომა მიეძღვნა ქართულ ხალხურ შემოქმედებას. დოც. მიხ. ჩიქოვანმა წაიკითხა მოხსენება: „ქართული ფოლკლორის განვითარების გზები“. მოხსენებამ დამსწრეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორის კომისიის თავმჯდომარემ პროფ. მ. კ. აზადოვსკიმ, მწერალთა საკავშირო გამგეობასთან არსებულ ფოლკლორის სექციის თავმჯდომარემ პროფ. ი. მ. სოკოლოვმა, პროფ. ნ. პ. ანდრეევმა (ლენინგრადი), ამხ. ამხ. ავადიევმა (ბაქო), გრინბლატმა (მინსკი), სემენოვმა და ლისკოვმა (ჩუვაშეთი), ჩუტკარიოვმა (მარიები), ნიკიტინმა, ლავროვმა, ბელოვმა, შაკირბაიმ (აფხაზეთი), დოც. ი. მეგრელიძემ (ლენინგრადი) და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად აღიარებდნენ ქართული ფოლკლორის მაღალ მხატვრულობასა და მის დიდ მნიშვნელობას საბჭოთა ფოლკლორისტიკის რთულ საკითხთა გადაწყვეტის დროს. მოითხოვდნენ მის რუსულ და სხვა მოკავშირე ენებზე გადათარგმნის დაჩქარებას, აღინიშნა ამ დარგში ჩამორჩენა და სხვ.

სამეცნიერო აკადემიის ფოლკლორის კომისიამ თათბირზე მიიღო ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ქართული ხალხური შემოქმედების რუსულ ენაზე თარგმნასა და პოპულარიზაციას. გათვალისწინებულია ქართულ ფოლკლორისტთა თანამშრომლობა საკავშირო სამეცნიერო და ლიტერატურულ ორგანიზაციებში. მეცნიერული თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით ქართულ ენაზე გამოვა კრებული, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი რუსი ფოლკლორისტები ოთხ ენაზე (ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენაზე), გამოცემული იქნება აშუღის საიათნოვას ლექსები. მიღებულია ზომები დიდი რუსი ხალხის შემოქმედების გაცნობის მიზნით ბილინების ქართულ ენაზე თარგმნისათვის და სხვ.

დასასრულ თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს ფოლკლორის სპეციალურ სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის შექმნას მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში და განყოფილებების დაარსებას ფილიალებთან.

ამხ. მიხეილ ჩიქოვანის მოხსენება დაიბეჭდა მეცნიერებათა აკადემიის ორგანოს „საბჭოთა ფოლკლორის“ მეშვიდე ტომში.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13 (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 3—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 873